619
1952/7

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 7 ივლისი 1952



ეროვნული ბიბლიოთეკა

— დეიდა, მალე მოვა მატარებელი?

ფოტოეტიუდი ო. თურქიასი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 7 (12)

# დროშა

ივლისი 1952

გამომცემლობა
„კომუნისტი“

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური
და სალიტერატურო - სამხატვრო ჟურნალი

## ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ**

მიეკუთვნოს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელი და ამიერიდან ეწოდებოდეს „სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ჩხუბიანიშვილი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი, 1952 წ. 11 ივლისი.



ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ხალხთა დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სახელის მიკუთვნებასთან დაკავშირებით ქალაქ რუსთავში 13 ივლისს გამართულ მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე.

# ზეიმი რუსთავში

ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანას მიეკუთვნა დიდი სტალინის სახელი! — ეს ამბავი ელვის სისწრაფით მოედო რუსთავის ქუჩებსა და ქარხნის საამქროებს. სიხარულს ველარ მალავდნენ ბრიგადირები და სტახანოველი მუშები, ცვლის უფროსები და ფოლადის მდნობელები, ქარხნის სამმართველოს მუშაკები და ქალაქის მცხოვრებნი, ერთმანეთს ულოცავდნენ, შემდგომ წარმატებებს უსურვებდნენ და თითქოს კიდევ ბევრი რჩებოდათ სათქმელი. და აი, ამ საერთო სიხარულისა და აღფრთოვანების გამოსახატავად, კვირას 13 ივლისს, ცენტრალურ მოედანზე შეიკრიბნენ რუსთავის მშრომელები. მოვიდნენ სტუმრები ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქიდან — თბილისიდან.

ხალხმრავალი მიტინგი გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. გეგეშიძემ. პირველად ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მგელაძე. მიტინგის მონაწილეები დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ მომხსენებელს და თვალს არ აცილებდნენ ტრიბუნის ზემოთ აღმართულ დიდი სტალინის პორტრეტს, რომლის სახელიც ამიერიდან სამუდამოდ მიეკუთვნა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების პირველი მადლობა რუსთავის მშრომელებისადმი.

— სიტყვა ეძლევა ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეს ამხ. ზ. კვახაძეს — აცხადებენ ტრიბუნიდან და ქარხნის ამ სახელწოდებაში პირველად გაისმის ყველაზე ძლიერი და ყველაზე საყვარელი სახელი — სტალინი. რუსთავის მუშები აქამდეც, ყოველ სამუშაო წუთს და დღეს, ყოველ შრომით წარმატებას სტალინის სახელს უკავშირებდნენ და მათ იციან, რომ ქარხანამ სწორედ ამიტომ დაიმსახურა ბელადის სახელი.

ტრიბუნაზე გამოსული ქარხნის მუშები ამ დიდ ზეიმთან დაკავშირებით კონკრეტულ შრომითი ვალდებულებებს იღებენ თავიანთ თავზე. ამ დღეს, როდესაც გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის დიდი სტალინის სახელის მინიჭების შესახებ, ქარხანამ სამშობლოს ასობით ტონა ფოლადი მისცა გეგმის ზევით.

მიტინგი გრძელდება. შორიდან ისმის საამქროთა ყრუ გუგუნი, ჩვენი ადამიანების ბედნიერებაზე მღერიან საამქროები. საზეიმოდ მორთულ მოედნის წინ, სამშენებლო ეზოში ამწე დგას. მის წვერზე წითელი დროშა ფრიალებს, თითქოს ამწის ისარი დროშას ამოჰყოლია ამ სიმაღლეზეო. სახე უბრწყინავთ მშრომელებს, ტრიბუნას გაჰყურებენ და გულში იმეორებენ პოეტის სიტყვებს:

„სტალინ! სტალინ! ხალხთა მამავ, საყვარელზე საყვარელო,
შენ სხვა ფერით იმზირება დღევანდელი საქართველო“.

# ი. ბ. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე

1950 წლის ზაფხულში გამოქვეყნდა ი. ბ. სტალინის გენიალური შრომა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“.

ი. ბ. სტალინის შრომის მნიშვნელობა არ განისაზღვრება ენათმეცნიერების ფარგლებით, მასში მოცემულია ფუძემდებელი დებულებები საზოგადოებათ-მეცნიერების ყველა დარგისათვის.

ი. ბ. სტალინმა მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული სიზუსტით ამომწურავად გააშუქა ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები, მოგვცა ენათმეცნიერების დასრულებული, მარქსისტული თეორია. სტალინური მოძღვრების სინათლეზე სათანადო შეფასება მიეცა ნ. მარის ვულგარულ-მატერიალისტურ ე. წ. „ახალ საენათმეცნიერო მოძღვრებას“, რომლის არც ერთი დებულება არ აღმოჩნდა მისაღები საბჭოთა ენათმეცნიერებისათვის.

წლების განმავლობაში ნ. მარი და მისი „მოწაფეები“ მატერიალისტური ენათმეცნიერების ქვაკუთხედად აცხადებდნენ ენის კლასობრიობასა და ენის ზედნაშენურობას.

ი. ბ. სტალინმა სრული სიცხადით გამოააშკარავა ამ დებულებების სრული უსაფუძვლობა. მან ნათელყო, რომ მარქსისტული თვალსაზრისისათვის შეუგუებელია ენის მიჩნევა ზედნაშენად, რომ „ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ მცდარი, არამარქსისტული ფორმულაა.“

არა ნაკლებ შეცდომას უშვებდნენ მარისტები, როდესაც აყენებდნენ ენის განვითარების სტადიურ თეორიას, რომლის მიხედვითაც ენის გადასვლა ერთი თვისებრიობიდან მეორეში აფეთქების გზით წარმოებს შეჯვარედინების შედეგად. „ძნელია რაიმე მარქსისტული ვიპოვოთ ამ თეორიაში,“ — წერს ი. ბ. სტალინი და გვაძლევს ნ. მარის შეჯვარედინების თეორიის პრინციპულ კრიტიკას. წინაალმდეგ ნ. მარის მტკიცებისა, ენათა შეჯვარედინების დროს ორი ენისაგან მესამე, ახალი ენა კი არ წარმოიშვება, არამედ „ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას, თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით, მეორე ენა კი თანდათანობით კარგავს თავის თვისებრიობას და თანდათანობით კვდება“.

ენათმეცნიერებისათვის საბედისწერო იყო ნ. მარის მიერ ენათა ნათესაობის ხელაღებით უარყოფა, რადგანაც ამ უკანასკნელს უკავშირდება ენათა მეცნიერული კვლევის მეთოდი — ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ისტორიულ-შედარებით მეთოდს ნ. მარმა დაუპირისპირა ოთხელემენტოვანი პალეონტოლოგიური ანალიზი, რომელიც მისი „მოწაფეების“ განცხადებით წარმოადგენდა დიალექტიკური მეთოდის კონკრეტიზაციას ენობრივ მასალაზე.

წინააღმდეგ ნ. მარის და მისი მიმდევრებისა, ი. ბ. სტალინმა ენათა ნათესაობის შესწავლას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ენის განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში, ხოლო რაც შეეხება მეთოდს, ამის შესახებ ი. ბ. სტალინი წერს: „უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მართლაც იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რადგან პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწავლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხარ-თეძოზე წამოწვე და ყბადაღებული ოთხი ელემენტის გარშემო იმარჩიელო“.

ნ. მარისა და მისი „მოწაფეების“ მიერ ენათმეცნიერებისადმი მიყენებული ზიანი არ ამოიწურება იმით, რომ თავიანთი ვულგარულ-მარქსისტული დებულებების შემოტანით მათ თეორიული არევ-დარევა გაამეფეს ენათმეცნიერებაში. ი. ბ. სტალინმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მცდარი დებულებების დანერგვისათვის მარისტებმა შექმნეს ასევე მცდარი მეცნიერებისა და მეცნიერთათვის შეუფერებელი რეჟიმი, — არაკჩეევის რეჟიმი. მათ აღკვეთეს კრიტიკის თავისუფლება, დაივიწყეს, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს თუ არ არის აზრთა ბრძოლა. „ენათმეცნიერებაში შექმნილი არაკჩეევის რეჟიმი ნერგავს უპასუხისმგებლობას და აქეზებს ასეთ უწესობას,“ — ასკვნის ი. ბ. სტალინი.

ნ. მარისა და მისი მიმდევრების „მოღვაწეობის“ მკაცრი კრიტიკის საფუძველზე ი. ბ. სტალინი იძლევა ენათმეცნიერებაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებას: „საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარისა და მისი „მოწაფეების“ მიერ გამოგონილი „ფორმალიზმი“, არამედ არაკჩეევის რეჟიმი და თეორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაკჩეევის რეჟიმი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფეებმა“. ენათმეცნიერებაში თეორიული არევ-დარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე“.

ი. ბ. სტალინის გენიალურმა შრომამ ლიკვიდაცია უყო ორივე დასახელებულ ბოროტებას. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო საკმარისი საბჭოთა ენათმეცნიერების გაჯანსაღებისათვის, მისი სწრაფი და დაუბრკოლებელი განვითარებისათვის. არაკჩეევის რეჟიმის ლიკვიდაცია და ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა აუცილებელი პირობა იყო იმისათვის, რომ განხორციელებულიყო მესამე და ძირითადი ამოცანა, — ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა. ეს ამოცანაც ბრწყინვალედ შეასრულა ი. ბ. სტალინის ფუძემდებელმა შრომამ.

ი. ბ. სტალინმა მოგვცა ენის ბუნების ამომწურავი ანალიზი. „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ენა საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს, ამასთან ისეთ საზოგადოებრივ მოვლენას, რომლის გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებს.

ენის საზოგადოებრივ ბუნებასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებაში ისმის საკითხი ენის მიმართების შესახებ ზედნაშენთან და კლასებთან. ამ საკითხთან დაკავშირებით ი. ბ. სტალინი არ დაკმაყოფილდა ნ. მარის ანტიმეცნიერული შეხედულებების კრიტიკით. ენის რაობის, მისი დანიშნულების გათვალისწინების საფუძველზე მან მოგვცა მეცნიერული დასაბუთება იმისა, თუ რა განასხვავებს ენას ზედნაშენისაგან. ზედნაშენთან ენის მიმართების საკითხის გარკვევას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ენათმეცნიერებისათვის, არამედ ისტორიული მატერიალიზმისთვისაც. ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო შრომების გამოსვლამდე საზოგადოებრივ მოვლენებს აქცევდნენ ან ბაზისთა კატეგორიაში ან ზედნაშენთა კატეგორიაში. ი. ბ. სტალინმა ნათელყო, რომ შეიძლება არსებობდეს ისეთი საზოგადოებრივი მოვლენა, რომელიც არც ბაზისს განეკუთვნება, არც ზედნაშენს, არამედ სპეციფიკურია. ასეთ თავისებურ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენს ენა. ი. ბ. სტალინის დებულებები ამ საკითხთან დაკავშირებით ამდიდრებს მარქსისტულ ფილოსოფიას, ახალ საფეხურს ქმნის მის განვითარებაში.

ვრცლად და ამომწურავად განიხილა ი. ბ. სტალინმა საკითხი, თუ რატომ არ შეიძლება იყოს ენა კლასობრივი, რატომ არის იგი საერთო-სახალხო მოვლენა.

სპეციალურ საენათმეცნიერო საკითხთა გარკვევისას სტალინური მოძღვრება ემყარება ენის გრამატიკული წყობისა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდის განსაზღვრას, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან ენის სპეციფიკის არსს. მოძღვრება ენის ძირითადი ლექსიკური ფონდისა და გრამატიკული წყობის შესახებ ედება საფუძვლად საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების დაპირისპირებას, აგრეთვე „კლასობრივი“ და ტერიტორიული დიალექტების განსხვავებას.

ი. ბ. სტალინი სპეციალურად შეჩერდა ენის განვითარების თავისებურებებზე. მან დაადგინა ენის სხვადასხვა მხარის — ლექსიკური შემადგენლობის, ძირითადი ლექსიკური ფონდის და გრამატიკული წყობის განვითარების უთანაბრობა. მან დაამტკიცა, რომ ენა ერთბაშად, აფეთქების გზით კი არ იცვლება, არამედ ნელა და თანდათანობით.

ი. ბ. სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრება მთლიანია და თანმიმდევრული. იგი წარმოადგენს ენათმეცნიერების ერთადერთ ჭეშმარიტ თეორიას. ამიტომ არის, რომ ი. ბ. სტალინის ფუძემდებელმა შრომამ არა მხოლოდ ბოლო მოუღო კრიზისს, არამედ განვითარების მაღალ საფეხურზე აიყვანა ენათმეცნიერება. თუ ნ. მარისა და მისი „მოწაფეების“ წყალობით 1950 წლამდე ენათმეცნიერებაში გაბატონებული იყო დაბნეულობა და თეორიული არევ-დარევა, ი. ბ. სტალინის შრომებმა შეამჭიდროვა საბჭოთა ენათმეცნიერები, დარაზმა ისინი მარქსისტული მოძღვრების გარშემო. საბჭოთა ენათმეცნიერებმა სტალინურ საენათმეცნიერო მოძღვრებაზე დამყარებით ფართოდ გაშალეს კვლევა როგორც ზოგად ენათმეცნიერებაში, ისე კონკრეტულ ენათა შესწავლის სფეროში.

20 ივნისი, ი. ბ. სტალინის შრომის — „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ — გამოქვეყნების თარიღი, განვლილი მუშაობის შემოწმების, მიღწევებისა და ნაკლოვანებების გადასინჯვის დღედ იქცა. ორი წლის მანძილზე ცოტა მიღწევები როდი გვაქვს, მაგრამ გასაკეთებელი ბევრად უფრო მეტია. ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა ენათმეცნიერებას სერიოზული ამოცანები დაუსახა. ამ ამოცანების განხორციელებისათვის, მუდმივი წინსვლისა და აღმავლობისათვის ჩვენი ენათმეცნიერება დაუშრეტელ წყაროს ისევ და ისევ სტალინურ მოძღვრებაში პოულობს.

თ. შარაძენიძე

# საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვიდან

## რუსთავის მშრომელთა საერთო-საქალაქო მიტინგზე 1952 წლის 13 ივლისს



ამხ. ა. ი. მგელაძე ტრიბუნაზე

...დღეს საბჭოთა საქართველო ჩვენს დიდ ქვეყანას— საბჭოთა კავშირს სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ფოლადს, ნაგლინს, ფეროშენადნობებს, ავტომობილებს, მიწისმწოვ მანქანებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ლითონსაჭრელ ჩარხებსა და საფეიქრო დაზგებს, მარგანეცს, ქვანახშირს, ცემენტს, მარმარილოს, ქსოვილებს, ფეხსაცმელს, კონსერვებს და ბევრ სხვა მრავალფეროვან სამრეწველო პროდუქციას.

საქართველო ამიერიდან სახელგანთქმულია არა მარტო უაღრესად განვითარებული მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობით, რომელიც საბჭოთა კავშირს სულ უფრო მზარდი რაოდენობით აძლევს ჩაის, ყურძნის, თამბაქოს, ციტრუსოვანთა პროდუქციას, არამედ როგორც განვითარებული მეტალურგიის მქონე რესპუბლიკაც.

...დღევანდელი დღე ჩვენთვის დღესასწაულია. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნისათვის ამხანაგ სტალინის სახელის მიკუთვნება გვავალებს ვიმუშაოთ უფრო კარგად, დღევანდელი დღის მოთხოვნების შესაბამისად.

ამხანაგებო! სიტყვა მივცეთ ჩვენს საყვარელ სტალინს, რომ დღეს ვიმუშავებთ უკეთ, ვიდრე გუშინ ვმუშაობდით, ხვალ კი ვიმუშავებთ უკეთ, ვიდრე დღეს ვმუშაობთ, რომ ქართველ მეტალურგთა სახელოვანი კოლექტივი მუდამ იქნება ლითონისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

წითელწყაროს რაიონი.
პურის უხვი მოსავლის აღება სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა



# ზაფხული მთის ძირას



— რამდენი კილომეტრი იქნება აქედან „ბულბულის“ ციხემდე?

მოხუცი კოლმეურნე პიონერებისკენ შემობრუნდა, ორივე ხელით ჯოხს დაეყრდნო, მთებს გახედა და თქვა:

— ექვსი!

— გმადლობთ, ბაბუა! — წარმოთქვა პიონერმა ბიჭუნამ და ამხანაგებს მიუბრუნდა: — ხომ გეუბნებოდით, ზუსტად იტყვისმეთქი, რუკაზედაც ხომ ექვსი კილომეტრია აღნიშნული? საოცარი ალღო აქვთ სოფლელებს, ყოველგვარ მანძილს ზეპირად გეტყვიან, გაზომვით კი არასოდეს არ გაუზომიათ.





პირველი წერილი დედას

← ყურადღება, ამხანაგებო, ახლა ნორა ნავროზაშვილი წაიკითხავს გრიშაშვილის ლექსს — „დიდ ბელადს — პატარა გორელებისაგან“.

პიონერები გზის გაგრძელებას აპირებდნენ, მაგრამ ამ დროს მოხუცმა კოლმეურნემ მოულოდნელად შეაჩერა:

— მოიცა, მოიცა... თქვენა ისინი არა ხართ, ამას წინათ ჩვენს კოლმეურნეობას რომ ეხმარებოდით ვენახის ახვევაში?

— ჰო, ბაბუა, ვეხმარებოდით, ახლა კი ექსკურსიაზე მივდივართ „ბულბულის“ ციხეზე.

— კეთილი მგზავრობა, შვილებო, ეგრე მთა-მთა იარეთ... ზუსტად ექვსი კილომეტრია...

პიონერებმა მხრებზე მოიგდეს რიუკზაკები და გზა განაგრძეს. ისინი ლ. პ. ბერიას სახელობის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკიდან იყვნენ.

ეს სანატორიული ტიპის ბანაკი ოცზე მეტი წელია, რაც არსებობს. მისი პირველი დამსვენებლები ახლა ჩვენი სამშობლოს მოწინავე ადამიანები არიან. მათ აქ გაუმტკიცდათ საბჭოთა ახალგაზრდისათვის დამახასიათებელი დისციპლინა, ნებისყოფა, სწავლის დიდი სურვილი, განუვითარდათ შემოქმედებითი ნიჭი. ქვიშხეთის ბანაკში ჩამოსული პიონერები ისე ვაჟკაცდებიან, იმდენ გამოცდილებას იღებენ ისტორიისა, ტურიზმისა, გეოგრაფიისა, თუ ბიოლოგიის საკითხებში, რომ სურთ ყოველ ზაფხულს ესტუმრონ ბანაკს, ყოველ ზაფხულს — სანამ პიონერთა ასაკს არ გასცილდებიან. რამდენი მიმზიდველი თამაშობანი იციან პიონერებმა, აი, თუნდაც ე. წ. „რგოლის დაკარგვა“. „დაიკარგება“ პიონერთა ერთი რგოლი, თავიანთ მარშრუტს და საბოლოო ადგილსამყოფელს ისინი პირობითი ნიშნებით აღნიშნავენ. ვინც მათ მოძებნას აპირებს, ფხიზელი თვალი უნდა ჰქონდეს, უნდა ერკვეოდეს პირობით ნიშნებში, კარგად უნდა იცოდეს გეოგრაფია, ასტრონომია, ბოტანიკა და სხვ.

ანდა, რა წარმტაცი სანახაობაა კოცონი, ღამით რომ დაანთებენ და პეპლებივით შემოუსხდებიან პიონერები. ზოგიერთ მათგანს აქ, ბანაკში მოსვლისას, პირველად მოუხდა მშობლებთან დაცილება. პირველად დარჩნენ დედისა, თუ მამის მზრუნველობის გარეშე, მაგრამ განა ვინმე გრძნობს ამას? ბანაკის პედპერსონალი და პიონერთა ხელმძღვანელები მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებენ ბავშვებს.



ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა ბანაკის რაზმი ეხმარება ტაშისკარის კოლმეურნეობას ვენახის ახვევაში. →

↓ რაზმეულის ხელმძღვანელი პიონერებს უკითხავს ი. ნონეშვილის პოემას ზოია რუხაძეზე.

ფოტო ო. თურქიასი



**მოძმე რესპუბლიკებში**

# ფოქრ-შაჰრიარელი კოლმეურნეები

**ზ. კურძიკიანი**

ფოქრ-შაჰრიარში ას სამოცდაათი კომლი ცხოვრობს. მოჯამაგირეთა და ღარიბთა ქოხმახებისაგან ახლა აქ აღარაფერი დარჩენილა. დიდი ხანია სოფელში ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა და განხორციელებულია შვიდწლიანი სავალდებულო სწავლება. ახუთადთ თითქმის ყველა კოლმეურნეს საშუალო განათლება აქვს, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს ფოქრ-შაჰრიარის კოლმეურნეობის 15 ახალგაზრდა წევრი.

ახლა ფოქრ-შაჰრიარის მცხოვრებნი განთქმული არიან თავიანთი შრომით მთელს რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში. შაჰრიარის კოლმეურნეებმა ბამბის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 7 ცენტნერიდან 35 ცენტნერამდე აიყვანეს, ხორბლისა — 12 ცენტნერიდან 23 ცენტნერამდე. კოლმეურნეობის 3-4 ჰექტარი ვენახი გააფართოეს 60 ჰექტარამდე. განავითარეს მებოსტნეობა და მარწყვის კულტურა. აქაურმა მესაქონლეებმა რამდენიმე წლის მანძილზე 15 ცხვრიდან 1 500 ცხვარი გამოზარდეს. დააარსეს მეძროხეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის დიდი ფერმები.

ახლა სიტყვა — „შაჰრიარელი კოლმეურნე" ნიშნავს მაღალი მოსავლის ოსტატს, მოწინავე, კულტურულ და შეძლებულ კოლმეურნეს, კომუნიზმის აქტიურ მშენებელს.

აქ ველარ ნახავთ ძველ უსწორ-მასწორო ქუჩებს, ვერ ნახავთ მიწურ ქოხმახებს. ძველმა შაჰრიარმა სახე იცვალა, დაიგეგმა ახალი წესით. გაყვანილ იქნა ფართო და სწორი ქუჩები. კოლმეურნეთათვის და დაწესებულებებისათვის აგებულ იქნა მაღალსართულიანი, არქიტექტურულად ლამაზად გაფორმებული შენობები. ილიჩის ნათურებმა გაანათეს კოლმეურნეთა ბინები... ექსპლოატაციას გადაეცა ორსართულიანი უზარმაზარი სასკოლო შენობა, აგრეთვე კოლმეურნეობის კანტორის, სასოფლო საბჭოს და ბავშვთა ბაგის შენობები. რადიოფიცირებულ იქნა მთელი სოფელი. სოფელს აქვს კინოთეატრი, სადაც ყოველ ორ დღეში ახალ კინოსურათს უჩვენებენ. აწყობენ საკუთარ რადიოგადაცემებს.

როდესაც ახლოს ეცნობით კოლმეურნეობის წარმატებებს, გული სიხარულით გევსებათ. კოლმეურნეობისათვის ყველაზე დიდ მონაპოვარს წარმოადგენს მათ მიერ აღზრდილი ახალი ადამიანები, ახალი კადრები.

აი, საშუალო ტანის, ბრგე, მკვირცხლთვალა მხიარული ვაჟკაცი. მას უკვე შეჭაღარავებია თმები, მაგრამ მაინც ახალგაზრდული მიმოხვრა აქვს. ეს კომუნისტი ი. ავჩიანია. თხუთმეტ წელზე მეტია, რაც ის შაჰრიარის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. 1949 წელს ბამბის მაღალი მოსავლის მიღებისათვის მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი.

ომის შემდგომ წლებში კოლმეურნეობა მილიონერი გახდა, ახლა კი კოლმეურნეობის შემოსავალმა წლიურად სამ მილიონზე მეტს გადააჭარბა.

ბამბის პლანტაციებზე თქვენ გაეცნობით მერგოლეებს — სოციალისტური შრომის გმირებს: ნევგუშ მელქონიანს, სათიკ აკოფიანს, მაშო აზროიანს, არფიკ ვართანიანს და ოქტომბერიკ ქოლოზიანს.

აი, ახალგაზრდა ლამაზი გოგონა. იგი ყოფილი მოჯამაგირის ამაიაკ მელქონიანის ქალიშვილი — ნევგუშაა. იგი კოლმეურნეობის სახელოვანი მერგოლეურია: შარშან თავის რგოლის 6,5 ჰექტარ ბამბის პლანტაციაზე თვითეულ ჰექტარიდან 67 ცენტნერი ბამბა მიიღო, რისთვისაც სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა.

***

1939 წლიდან დაწყებული შაჰრიარის კოლმეურნეობა სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული საქართველოს მახარაძის რაიონის ნატანების ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან. მისვლა-მოსვლისა და მიწერ-მოწერის საშუალებით კოლმეურნეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას. ორივე კოლმეურნეობა იბრძვის მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად, თვითეული მათგანი ცდილობს უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია მისცეს სამშობლოს, ამასთანავე, მათ მტკიცედ ახარებთ ხოლმე ერთმანეთის წარმატება-გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე.

ორი მოძმე კოლმეურნეობის სოციალისტური შეჯიბრება უფრო გაიშალა და გაფართოვდა ომის შემდგომ წლებში.

შარშან შაჰრიარელებმა ინახულეს თავიანთი „მეტოქენი". სტუმართა შორის იყო აგრეთვე, ცნობილი მერგოლეური ოქტომბერიკ ქოლოზიანი. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ის მაშინვე დაუმეგობრდა თავის „მეტოქეს", მერგოლეურ დარეჯან ტაკიძეს და ერთი კვირა მის სახლში გაატარა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ეს ორი ქალიშვილი გულითადი მეგობრები გახდნენ.

იმ დღიდან ოქტომბერიკის საწერ მაგიდას ამშვენებს დარეჯანის სურათი, და როდესაც ის ამ სურათს შეჰყურებს ხოლმე, მუდამ თვალწინ უდგას მოხდენილი ტანის, შავთვალწარბა ქართველი ქალი, რომლის მოქნილი თითები გასაოცარი სისწრაფით ჰკრეფენ ჩაის ფოთოლს და ოქროსფერ ნარინჯს.

ბამბის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე 88,3 ცენტნერი მოსავლის მიღებისათვის საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1949 წლის 16 აპრილის ბრძანებულებით ოქტომბერიკ ქოლოზიანს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის სახელწოდება.

ოქტომბერიკის სიხარული გაორკეცდა, როდესაც შეიტყო, რომ მაღალი მოსავლის მიღებისათვის მის „მეტოქეს" დარეჯან ტაკიძესაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

1949 წელს ოქტომბერიკ ქოლოზიანმა უფრო მეტ წარმატებებს მიაღწია ბამბის მოსავლის მიღების საქმეში და ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოებული.

ახლა ახალგაზრდა მერგოლეური ქალი სწავლობს ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, ეუფლება საბჭოთა მოწინავე აგრონომიულ მეცნიერებას და ოცნებობს თავის კოლმეურნეობის მომავალ წარმატებებზე.

***

გადავიკითხეთ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულ ნატანებელ კოლმეურნეთა მიერ გამოგზავნილი წერილი და კოლმეურნეობის კანტორიდან გარეთ გავედით...

კანტორიდან ცოტა მოშორებით აღმართულა მუქ-ნარინჯისფერი ტუფით ნაგები უზარმაზარი შენობა, — ეს კოლმეურნეობის კულტურის სახლია. სახლის მთავარ შესასვლელთან მარჯვნივ და მარცხნივ წამომსხდარან ქვისგან გამოთლილი ფაფარაყრილი ლომები...

ავდივართ კიბეებზე, ახალი მასალის და საღებავების სუნი ტრიალებს შენობაში.

— აქ მოსაცდელი ოთახია, იქით კი ბიბლიოთეკა-სამკითხველო და აგრომეცნიერების კაბინეტებია, სადაც მეცადინეობენ აგროტექნიკის შემსწავლელთა ჯგუფები. მარჯვენა მხარეს კინოდარბაზია, მარცხნივ — რადიოკვანძი.

შევდივართ დიდ დარბაზში, სადაც 500-ზე მეტი მაყურებელი ეტევა. მოსაცდელი ოთახისა და დარბაზის კედლებს ამშვენებს საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი სურათები, პანორამები. ეს შენობა კოლმეურნეების აქტიური მონაწილეობით აშენდა. კოლმეურნეები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი თავიანთ ძალაში, დარწმუნებულნი არიან, რომ ვერავინ გაბედავს მათი მარჯვენით, მათი ოფლით შექმნილი შენობების დანგრევას, მტკიცედ სწამთ, რომ მშვიდობის საქმე უეჭველად გაიმარჯვებს მთელ მსოფლიოში, რადგან ამ საქმეს მეთაურობს მშვიდობის დიდი მედროშე, საყვარელი სტალინი.




**← ტაჯიკეთის სსრ-ის მრავალ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაკეთებული აქვთ სპეციალური თხრილები, რომლებშიც აშენებენ ლიმონისა და მანდარინის ხეებს. წელს მიიღებენ ლიმონის პირველ მოსავალს.**

**ესტონეთის სსრ. — ა. სომორლინგის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ იყენებენ ულტრაიისფერ სხივებს. იგი მთელი ზამთრის განმავლობაში ზაფხულის მაგვარ პირობებს ქმნის. გარდა ამისა, ეს სხივები ხელს უწყობს ხბოების ზრდას. ↓**

(საკდესის ფოტოქრონიკა)



# ახალგაზრდა მწერლები

## კორექტურული შეცდომა

— ასე რომ, ეგ საქმე მომავალი წლისათვის გადავდოთ, ანდა ხელმძღვანელად სხვა დანიშნეთ, მე დრო არა მაქვს!

— ეგ არის თქვენი საბოლოო პასუხი?

— ეს არის, ჩემო ალექსანდრე! — წარმოთქვა პროფესორმა შალვა ზვიადაძემ და პიჯაკზე დაყრილ პაპიროსის ფერფლს წკიპურტი გაჰკრა. ალექსანდრე წამოდგა და უსიტყვოდ გავიდა ოთახიდან...

...ეს საუბარი პროფესორ ზვიადაძესთან დღესაც სიტყვა-სიტყვით ახსოვს ალექსანდრეს, ანდა როგორ არ დამახსოვრებოდა, ყოველ წუთში იმაზე ფიქრობს... როგორ თქვა? „მომავალი წლისთვის გადავდოთო", ჰმ, თითქოს ის იყოს ამ კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და არა ალექსანდრე.

პროფესორი ზვიადაძე დიდი პატივისცემით სარგებლობს ინსტიტუტის თანამშრომლებს შორის. ალექსანდრეც, მართალია დირექტორია, მაგრამ თავის კაბინეტში არასოდეს არ იძახებს პროფესორს, ყოველთვის თვითონ შედის მასთან. „ჰოდა აი, გუშინწინაც შევედი და უარით გამომისტუმრა... გამომისტუმრა, აბა სხვა რა დავარქვა ამას?" — გაიფიქრა ალექსანდრემ, წამოდგა და თავისი კაბინეტის ფანჯრიდან ეზოში გადაიხედა.

მეშვიდე სართულიდან ძლივს მოჩანდა ლაბორატორიის პატარა შენობა. „მთელ დღეებს იქ ატარებდა პროფესორი, ახლა კი კაბინეტში ჩაკეტილა და განცხრომას ეძლევა — ფიქრობდა ალექსანდრე. — 50-მდე გამოგონება ხომ მაინც ექნება? მაგრამ ის ავტომატური ღუმელი ყველას ჩრდილავს. იმ ღუმელმა პირველად რუსთავში დაიწყო მუშაობა, კავშირის ყველა გაზეთმა აღნიშნა ეს მოვლენა, გამოგონება მსოფლიო მნიშვნელობისა იყო. მაგრამ მერე რა მოხდა? ამ დიდებამ თითქოს შთააგონა პროფესორს, რომ ყველაფერი გამოგონილი იყო, აღარაფერი აღარ იყო გასაკეთებელი. რასაკვირველია, არც ის არის ცუდი, ლექციებს რომ კითხულობს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, „მანქანათა ნაწილების" სახელმძღვანელოს რომ წერს უმაღლეს სასწავლებლებისათვის, მაგრამ რა ნება ჰქონდა გამომგონებლობითი მუშაობა რომ მიატოვა? არა, ეს შეუძლებელია... და ალექსანდრეს თავიდან გაახსენდა ყველაფერი.

ამას წინათ, ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, როდესაც ერთ-ერთი ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკი მოხსენებას აკეთებდა თავისი მივლინების შედეგებზე, უეცრად წამოხტა პროფესორი ზვიადაძე და ხმამაღლა... სხაპასხუპით დაიწყო ლაპარაკი. როცა მსჯელობა დაამთავრა, მხოლოდ მაშინ მოუხადა ბოდიში ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკს, „სიტყვა გაგაწყვეტინეთო", მაგრამ ახალგაზრდამ პასუხის მაგივრად სხვებთან ერთად ტაშით დააჯილდოვა პროფესორი. ანდა, როგორ შეეკავებინათ თავი: პროფესორმა ხომ ასე მოუმზადებლად და მზამზარეულად სრულიად ახალი მეთოდი წამოაყენა გვირაბთა გაყვანის საქმეში. — ჰიდრავლიკური წნეხის იდეა, ეს იყო რაღაც მოულოდნელი, გენიოსური ნაკვესი, რომელსაც, ალბათ, თვით პროფესორიც არ ელოდა.

ალექსანდრემ გადაწყვიტა, რომ ინსტიტუტს გეგმის გარეშე დაემუშავებინა ამ ჰიდრავლიკური წნეხის პროექტი. მაგრამ აი, სამი დღის წინათ ხელმძღვანელობაზე უარი უთხრა პროფესორმა: „მომავალ წლისთვის გადავდოთ, ახლა დრო არ მაქვსო". განა შეიძლება ასეთი გულგრილობა და უმოქმედობა? კმაყოფილია თავისი თავით? ჰგონია, რომ ყველაფერი გააკეთა? არა, არა და არა. აუცილებლად უნდა დავიყოლიო, ბოლოს და ბოლოს მე ხომ დირექტორი ვარ? ვუბრძანებ, რომ იმუშაოს წნეხის პროექტზე. ის ახლა სინათლესავით სჭირდება ჩვენს მემაღაროელებს... იდეა მისია, კეთილი ინებოს და თვითონვე განახორციელოს.

ალექსანდრე მაგიდას მიუახლოვდა და ზარზე თითი დააჭირა, ერთჯერ, ორჯერ, სამჯერ... ოთახში მდივანი ქალი შემოვიდა.

— ზვიადაძე მოვიდეს ჩემთან! — ნერვიულად წარმოთქვა ალექსანდრემ. მდივან ქალს თითქოს გაუკვირდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ამ დროს მეორედ გაიღო კარები და ოთახში თვით შალვა ზვიადაძე შემოვიდა. უსიტყვოდ მივიდა მაგიდასთან, ზედ რაღაც ნახაზები დაჰყარა, სკამზე ჩამოჯდა და ამოიხვნეშა.

— პირველი ის, რომ თანახმა ვარ წნეხის პროექტის ხელმძღვანელობაზე, — წარმოთქვა მან.

ალექსანდრეს გაუკვირდა, უფრო მეტად კი გაეხარდა. მაგრამ არ შეიმჩნია.

— თქვენ უკვე დანიშნული ხართ, პატივცემულო შალვა, აი, ნახეთ... — ალექსანდრემ ბრძანების ამონაწერი გაუწოდა პროფესორს.

— კეთილი, — წარმოთქვა ზვიადაძემ. — მეორე ის, რომ... წაიკითხეთ ეს წერილი, — ახლა უკვე აღელვება დაეტყო პროფესორს, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

წერილის ხსენებაზე მდივანი ქალი უხმაუროდ გავიდა კაბინეტიდან. ალექსანდრემ კითხვა დაიწყო. ვიღაც მეგობარი სწერდა პროფესორს, ეტყობოდა დიდი ხუმარა ვინმე უნდა ყოფილიყო, დასცინოდა, რას არ უწოდებდა: „დიდი ხანია არ მინახავხარ, შორს ვართ ერთმანეთისგან, მაგრამ მაინც ვიგებ შენი უმოქმედობის ამბავს, რა დაგემართა, სად არის შენი გამომგონებლობითი ნიჭი, როგორ ითმენ რომ უკვე 37 წელი გადის, რაც აღარაფერი შეგიქმნია, ეს ხომ გარდაცვალებას ნიშნავსო". ამ „37 წლის უმოქმედობის" დასამტკიცებლად წერილის გამომგზავნს კონვერტში წლევანდელი კალენდრიდან ამოხეული ერთი ფურცელი ჩაედო. აი, რა ეწერა ამ ფურცელზე: „1915 წელს პროფ. შ. ზვიადაძის მიერ გამოგონებული იქნა ავტომატური ღუმელი სპეციალური ფოლადის გადადნობისათვის".

კალენდარში, რასაკვირველია, კორექტურული შეცდომა იყო, უნდა ყოფილიყო „1951 წელი".

— ჯერ ნუ იცინით! — წამოიძახა პროფესორმა და მაგიდაზე ნახაზი გაშალა, ერთი მხარე სამელნით დააკავა, მეორეზე საფერფლე დაადო.

— რა არის ეს? — იკითხა ალექსანდრემ და ნახაზს დახედა.

— ფოტო-ლინოტიპია, ორი ღამეა ამაზე ვმუშაობ. თუ ეს გამოგონება პრაქტიკულად განვახორციელე, სტამბები აღარც ერთ კორექტურულ შეცდომას აღარ დაუშვებენ.

ეს სიტყვები ისეთი გაგულისებით წარმოთქვა პროფესორმა, რომ ალექსანდრემ ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა გადაიხარხარა.

— იცით რა... პატივცემულო შალვა? — ძლივს ლაპარაკობდა ალექსანდრე. — იცით რა? მე მგონი... თქვენი იმდღევანდელი უარიც, ძალზე ჰგავდა...

— კორექტურულ შეცდომას, არა? — დაასწრო ზვიადაძემ და გაეღიმა, მაგრამ დღეიდან, ჩემო ალექსანდრე, მეც და ჩემი ფოტო-ლინოტიპიც ვეცდებით, რომ აღარ გავიმეოროთ ასეთი შეცდომები.

**ედიშერ ყიფიანი**

ნოდარ გურეშიძე

## არქიტექტორი

ის სასახლეებს აშენებს ლამაზს
და აჩუქურთმებს ცადაწვდილ გუმბათს,
ქალაქში ყველა ამჩნევს მის ამაგს —
ახალი თვალში მოგხვდება უცბად!

როცა ჩვენ ერთად გვიხდება გავლა
მე გაოცება შემიპყრობს ეგზომ;
ასე უღონო, პატარა ქალმა,
ასეთი დიდი საქმე რომ შეძლო...

მე მასზე ფიქრი არა მშორდება
გულით სანატრელ ოცნებას ვუხმობ —
რა იქნება რომ ჩემი ცხოვრებაც
დაამშვენოს და მოაჩუქურთმოს!

ოთარ შალამბერიძე

## სამტრედე

ეს ნუ გგონიათ სიო უღონო,
ნურც ნაკადულის მკვეთრი ბგერები, —
ჩემს სამტრედეში ისმის ღუღუნი
სიცოცხლისა და ბედნიერების.

ჩემს სამტრედეში ხუთი მტრედია,
მშვიდობის ხუთი მახარობელი;
ვეტრფი, შევხარი მსუბუქფრთებიანთ,
რომ მოივლიან სამყაროს ფრენით
და ისევ ბინას უბრუნდებიან.

როდესაც საკენკს მივაწვდი მტრედებს,
ზღვა — ნეტარებას გული ვერ ფარავს;
ხუთი ნისკარტი ეწყობა თეფშზე,
ხუთქიმიანი ვარსკვლავის დარად.

არ მიკვირს ჩემს მკერდს თუ არ დასჯერდნენ,
და უყვართ ხალხში ფრთების ფართქალი;
ბინად ერთი აქვთ მყუდრო სამტრედე,
ბუდედ — ათასი გული მართალი.

ვინც იმათ ერჩის, — ჩვენს გულებს ერჩის,
მზის და სიცოცხლის აბობოქრებას;
ცაში მტრედისთვის ნასროლი კენჭიც,
მტრედს რომ არც მოხვდეს, — გულში მომხვდება.

გიორგი გიგაური

## სტუმრად სამგორში

სამგორის ზღვასთან ზღვა ხალხი ხარობს,
მეც ლურჯ ზვირთებთან კრძალვით მივედი.
ვთქვი: „ზღვა კი არა, სიცოცხლე ხარო,
ჩემი მამულის ველთა იმედი!"
შემოსილია ჭრელი ქათიბით
მინდორი დღემდე ცვარმონატრული,
არხს არხი მისდევს,
სახნავს — სათიბი,
სახლებს — სახლები,
სართულს — სართული.
სტუმრად მოსულებს შეგვხარის ლილო,
სამგორში ლხინი აღარ თავდება.
შენი ღვაწლია, ბელადო ტკბილო, —
ამ კომუნიზმის ზღვის დაბადება!

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი ბელიაშვილი

# პარტია

მხატვარი შ. ცხადაძე

ეს მოთხრობა უნებურად დაემსგავსა ჭადრაკის პარტიის კომენტარს, იმ განსხვავებით, რომ ფართო მკითხველთათვის გაუგებარ საჭადრაკო ნოტაციის ნაცვლად, ყველასათვის გასაგები — სიყვარულის ამბავია მოთხრობილი.

კოტე და გივი იმ დროს ჩაუჯდნენ თავიანთი ცხოვრების ამ გადამწყვეტი პარტიის გათამაშებას, როდესაც თვითონაც ახლად ულვაშებაქინქლული ახალგაზრდები იყვნენ და ის არსებაც, რომელმაც ორთავე მოხიბლა, პირველად იცვამდა მაღალქუსლიან ფეხსაცმელს.

კოტეს თეთრებით ხვდა თამაშის დაწყება, რადგან ერთგვარი უპირატესობა გააჩნდა: — ის თანამდებობის მქონე მამის ერთადერთი შვილი იყო და, ჩვენში რომ იტყვიან, მშობლები ცივ ნიავს არ აკარებდნენ; კარგად აცმევდნენ, ახურავდნენ და მომავლისათვის იმ კიბისაკენ ერეკებოდნენ, რომელსაც მათი აზრით, ეს ჭაბუკი ცხოვრების საკმაოდ თბილ ბინაში უნდა მიეყვანა.

გივი კი პირიქით, იმ ოჯახიდან იყო გამოსული, სადაც მისი მსგავსი ათი თუ თორმეტი დარბოდა და ყოველ მათგანს მშობლები ყოველდღიურად კეთილ თვისებას — შრომის სიყვარულს უნერგავდნენ. ამიტომ გივის არ გააჩნდა ის უპირატესობანი, რითაც თავი მოჰქონდა კოტეს. მას ცივი ნიავიც ბევრი ხვდებოდა, ცხელიც; ამასთან ბევრი სხვა კარგი თვისება ჰქონდა, რაც უფლებას აძლევდა თამამად ჩაჯდომოდა ამ სამიჯნურო ჭადრაკის პარტიას. ის ხიბლავდა ყველას თავისი გულღია დამოკიდებულებით და პირდაპირობით.

ასეთი იყვნენ ეს ახალგაზრდები. ხოლო რაც შეეხება იმ არსებას, რომელიც ადამიანთა მოდგმის მშვენიერ ნახევარს ეკუთვნოდა, ის იყო ისეთი მიმზიდველი გარეგნობის და მომხიბლავი ხასიათის ახალგაზრდა ქალი, რომელიც ღრმა მოხუცებსაც ამოოხვრით მოანატრებს სიჭაბუკეს, ჭაბუკებს კი სიხარულით განაცდევინებს იმ ბედნიერებას, რომ ისინი მხოლოდ ახლა გამოდიან ცხოვრების სარბიელზე

გარეგნულ სილამაზესთან ერთად, ირინეს ერთი თავისებურება ახასიათებდა: მას კარგი ჩაცმა-დახურვა და უჩვეულო სისუფთავე უყვარდა. მკითხველს ვატყობ, ეღიმება და გუნებაში ამბობს, ნეტა რომელი ქალია ამ ქვეყნად, რომ ლამაზი ჩაცმა-დახურვა არ უყვარდესო. მართალია, მაგრამ ირინეს განსაკუთრებით უყვარდა ჩაცმა-დახურვა და ნამდვილი სისუფთავის განსახიერება იყო. მას ხშირად უთქვამს მეგობარ-ნაცნობებისათვის, საკმარისია ახალგაზრდა ვაჟს ჭუჭყიანი ხელები დავუნახო, რომ ის სამუდამოდ თვალის დასანახავად შემჯავრდესო. წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცი, ირინეს აზრით, აბუჩად იგდებდა არა მარტო თავის თავს, არამედ მთელ საზოგადოებას. ვაი მას, ვინც ირინეს დაუვარცხნელი, მოთელილი ან დაუუთოებელი ტანსაცმელით და პერანგის ჭუჭყიანი საყელოთი დაენახვებოდა, ან ჭუჭყიან ცხვირსახოცს გამოაჩენდა. თვითონ მისი ცხვირსახოცი მუდამ ბრწყინავდა და, როგორც ჩვენში იტყვიან, ქათქათი გაჰქონდა. ხუმრობით ირინეს კინომსახიობსაც ეძახოდნენ და უნდა გავამხილოთ, რომ გუნებაში თვითონაც ოცნებობდა კინომსახიობი გამხდარიყო.

მაგრამ მარტო ჩაცმა-დახურვაზე რომ ყოფილიყო გადაყოლილი, ირინე რა თქმა უნდა დასაძრახი იქნებოდა: იგი სწავლაშიც პირველი იყო და ოჯახშიც საოცრად მშრომელი და გამრჯე.

ასეთი იყო ირინე მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ თვრამეტ წელს არ გადასცილებოდა და თავისი ატესტატით თბილისისკენ მიჰქროდა უმაღლესი ცოდნის მისაღებად. ასეთი იყო მაშინაც, როდესაც ელექტრომატარებელს რუსთავისკენ მიჰყავდა, სადაც პოლიკლინიკაში ერთ-ერთი საექიმო კაბინეტი უნდა ჩაებარებინა და შედგომოდა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დიდ საქმეს. ის პირველად მიდიოდა ამ სრულიად ახალ, მისთვის უცნობ ქალაქში, და ცოტა არ იყოს, კიდევაც ღელავდა, რადგან არავის იცნობდა. ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო მისი აღტაცება, როდესაც სადგურის ბაქანზე თვალი მოჰკრა კარგად ჩაცმულ ახალგაზრდა მამაკაცს და მასში იცნო ერთ-ერთი ის მოჭადრაკე, რომლის მიერ დაწყებული თამაში აგერ ხუთ წელზე მეტი ხანი იქნებოდა, რაც გადადებულიყო. ვინ იცის, შემდეგში იგი განუახლებლად ყაიმით დამთავრებულიყო, რადგან მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ბედმა ისურვა ეს პარტია ხელუხლებლად შეენახა და ისევ განეახლებინა. მართალია ირინეს თაყვანისმცემელ ორ ყმაწვილ კაცს — გივის და კოტეს, სხვადასხვა გზით მოუხდათ სვლა, მაგრამ შემდეგში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ახალ ქალაქში.

გივი შორეულ მაგნიტოგორსკში სწავლობდა ფოლადის გადადნობის საქმეს და ახლა რუსთავში ერთ-ერთ თვალსაჩინო მეფოლადედ ითვლებოდა. კოტე კი, ახლა რომ ირინეს შეეფეთა სადგურზე, თავიდანვე ფაქიზი საქმიანობის მოტრფიალე ახალგაზრდა იყო და მან თანამდებობათა საფეხურზე შეაბიჯა.

ირინემ მაშინვე კრიტიკული თვალით შეათვალიერა თავისი ძველი თაყვანისმცემელი და მისი გარეგნული შემოწმებით კმაყოფილი დარჩა. ახალგაზრდა კაცი გამოირჩეოდა უზადო სიფაქიზით, მას კოხტად შეკერილი კოსტუმი ეცვა და აბრეშუმის სუფთა პერანგს კარგი გემოვნებით შერჩეული ჰალსტუხი უმშვენებდა.

კოტე აღელვებით მიეგება ირინეს, გამოკითხა თუ სად იყო, როგორ იყო, ამ ხნის განმავლობაში და როდესაც გაიგო, რომ ის ჯერ კიდევ არ გათხოვილიყო

ყმაწვილი კაცის გულში იმედების შადრევანმა ამოხეთქა, რადგან თვითონაც ჯერ კიდევ უცოლო იყო.

ირინემ ჰკითხა თუ სად, ან რა თანამდებობაზე მუშაობდა კოტე. მან თამამად დაუსახელა თავისი სამსახურის ადგილიც, თანამდებობაც (იგი ერთ-ერთი ტრესტის საექსპედიციო კანტორის გამგე იყო), და უნდა ითქვას, რომ მის პასუხში ოდნავ გამოსჭვივოდა ის პატივმოყვარული სიამაყე, რაც ხანდახან ახასიათებს ცხოვრების სარბიელზე სწრაფად დაწინაურებულ ადამიანს.

ახალგაზრდა კაცი მაშინვე მიხვდა, რომ ბედმა უკვე მის სასარგებლოდ გააკეთა მომგებიანი სვლა და შეეცადა, რომ ხელიდან არ გაეშვა ყველა შესაძლებლობა. მან მაშინვე მიიწვია ირინე თავისთან და როდესაც ორივენი მანქანაში ჩასხდნენ, უზრუნველი საუბარი გააბა ახლაგაზრდა ქალთან. დაწესებულების კარიბჭესთან რომ შეჩერდნენ, თავაზიანად გადმოსვა მანქანიდან და შეუძღვა კაბინეტში, რომელიც თავისი სიდიდით და მორთულობით სრულიად არ შეეფერებოდა იმ პატარა დაწესებულებას, რასაც ეს ყმაწვილი ხელმძღვანელობდა.

— რა კარგი კაბინეტი გქონია, — აღტაცებით წამოიძახა ირინემ. ეს ამდენი ტელეფონი რა ამბავია?! მე მეგონა ტელეფონი სულაც არ გქონდათ აქ და მაგიდაზე ერთი, ორი, სამი, აპარატი გიდგას. ეს რაღაა, რადიო?

—არა, რადიო ისაა, — მიუთითა კოტემ კუთხეში. — ეს სელექტორია, — ხმამაღლა მოლაპარაკე, ამით ჩვენ თათბირს ვატარებთ ხოლმე ისე, რომ საკუთარ კაბინეტებიდან არც ერთი არ გამოვდივართ.

ეს იყო უბედნიერესი წუთები ამ ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში და, მგონია, იმ მომენტში ვინმეს ხელი რომ ებიძგებინა, კოტეს კაბინეტი დირიჟაბლივით აფრინდებოდა და ზეცას მოივლიდა.

ხანამ ირინე კაბინეტის თვალიერებით იყო გართული, კოტემ აამუშავა თავისი ტელეფონები და რამდენიმე წუთში მოაგვარა ახალგაზრდა ქალის მთელი ორგანიზაციული საკითხები. შემდეგ ავტომანქანა დაიბარა და მთლად რომ არ გაენიავებია თავისი ავტორიტეტი ირინეს წინაშე, ბოდიში მოიხადა საქმეების გამო ვერ გაცილებო და შოფერს დაავალა, რომ მისი სტუმარი ქალი ჯერ პოლიკლინიკაში მიეყვანა, შემდეგ საბინაო სამმართველოში და იქიდან იმ ახალ ბინაზე, რომელიც ირინესთვის გამოეყოთ.

ასე განახლდა ეს პატარა სამიჯნურო ამბავი და, როგორც ვხედავთ, კოტესთვის მოულოდნელად მოსაგები მდგომარეობა შეიქნა. ამიტომ გასაგები იყო ახალგაზრდა კაცის დაუდევრობა და დარდიმანდული უზრუნველობა, რასაც იჩენდა შემდგომი სვლების გაკეთების დროს. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ გადმოსახლდა თუ არა ირინე რუსთავში, ამ ახალი ქალაქის მცხოვრებთათვის საკმარისი იყო იგი კოტესთან ერთად რამდენიმეჯერ დაენახათ, რათა მაშინვე გავრცელებულიყო მოსალოდნელი ქორწილის ამბავი და ახალგაზრდა კაცს წინასწარ ულოცავდნენ გაბედნიერებას.

კოტეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ესმოდა შეკითხვები:

— შენზე გავიგე — ცოლს ირთავსო, მართალია?

— არა, კაცო, ვინ თქვა!—ღიმილით უარობდა კოტე და მერე თვითონ ეკითხებოდა — ვის ირთავსო?

— ჩვენს ახალ ექიმს. მართლა კარგი ქალია, ძმაო!

— ჰო, არა, კაცო. — ისე ამბობდა კოტე ამ ფრაზას, რომ მასთან მოსაუბრეს საწინააღმდეგო აზრი ებადებოდა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ისე ადვილი იყო კოტესათვის ამ პარტიის მოგება. მართალია, ის ხშირად ხვდებოდა ირინეს და ცდილობდა მოეჯადოებინა ეს ქალი, მაგრამ მალე იგრძნო, რომ ის უპირატესობანი, რომლებიც მას ამჟამად გააჩნდა, უკვე აღარ იყო საკმარისი ახალგაზრდა ქალის გულის მოსაგებად და შეიძლება მოძველებულიც კი იყო. ამ ოცდაათი წლის წინათ ისეთი სახის რეგალიები, როგორიცაა თანამდებობა, კარგი ბინა და მოხაწონი გარეგნობა, საკმარისი იყო, რომ ყმაწვილი კაცი ნეფის კვარცხლბეკზე აეყვანა, მაგრამ ახლა ეს თურმე საკმარისი აღარ აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ კოტეს საშიში მეტოქე გივი ჯერ არსად ჩანდა და შეიძლება სულაც არ გამოჩენილიყო. კოტეს საკმაო საბუთი ჰქონდა გივის მეტოქეობისა შინებოდა, რადგან ჭაბუკობის ხანაში, როდესაც ამ პარტიის პირველი სვლები გაკეთდა, დებიუტი სწორედ გივის სასარგებლოდ ვითარდებოდა.

კოტე თავიდანვე შეეცადა მოგების დაჩქარებას და გადმობარგდა თუ არა ირინე რუსთავში, ახალ ბინაზე მეორე დღესვე ესტუმრა.

ახალგაზრდა ქალმა კოტე სიხარულით მიიღო, ბოდიში მოიხადა, რომ ბინა ჯერ სათანადოდ მოწყობილი არ ჰქონდა და წინადადება მისცა კინოში წასულიყვნენ. კოტე სიამოვნებით დათანხმდა. სანამ კინოფილმს დაიწყებდნენ, ერთნაწილიანი კინოჟურნალი გაუშვეს. ეკრანზე გამოჩნდა მოსკოვის კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი; დიქტორმა გამოაცხადა, რომ მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის მოწინავე სტახანოველთა თათბირი. მაყურებელთა წინაშე ჯერ ხალხით გაჭედილი დარბაზი მოსჩანდა, შემდეგ პრეზიდიუმი და ბოლოს — ტრიბუნა. ლაპარაკობდა ურალელი მუშა, ის შეცვალა უკრაინელმა მუშა ქალმა და ბოლოს მოულოდნელად ტრიბუნაზე ავიდა გივი.

— უი, გივი! — სიხარულით აღმოხდა ირინეს და ეკრანს ხარბად დაუწყო ცქერა.

— ჰო, ჩვენ გავაგზავნეთ! — ცოტა არ იყოს ქედმაღლურად ჩაილაპარაკა კოტემ, რათა გაენელებია ეს მოულოდნელი შთაბეჭდილება.

— როგორ, გივი აქ მუშაობს?

— არ იცოდი? ის ჩვენი ფოლადის მდნობელი მუშაა.

კოტემ განსაკუთრებული სიძლიერით წარმოსთქვა უკანასკნელი სიტყვა და ირინეს გადახედა, რათა დაენახა რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ქალზე ეს ცნობა. მას სურდა როგორმე დაემცირებინა თავისი მეტოქე, რომელიც ახლა ასე მიმზიდველად გადმომდგარიყო ეკრანიდან და კოტეს მთელი იმედების ხუხულას დაფუშვით ემუქრებოდა.

ეპიზოდი არცთუ ისე დიდი იყო, მაგრამ ირინემ განსაკუთრებით მიაქცია ყურადღება იმას, რომ აუდიტორიამ გივის რამდენჯერმე შეაწყვეტინა სიტყვა ტაშით.

— მაშ ის აქ მუშაობს? — თქვა ახალგაზრდა ქალმა — რამდენი ხანია არ მინახავს. როგორ დავაჟკაცებულა.

— სამწუხაროა, რომ სწავლაში ვერ ივარგა,—კოტე გრძნობდა, რომ ცუდად მიდიოდა მისი საქმე და ახლა ამგვარი გულშემატკივრობით ცდილობდა წაექცია მოწინააღმდეგე, — მაგას შეეძლო, ესწავლა და ბევრისათვის გაესწრო.

ირინე ჩუმად იყო. ეკრანს თვალს არ აშორებდა.

— ამ დღეებში მეც უნდა წავიდე მოსკოვში — საქმიანად და ვითომ სხვათაშორის ჩაილაპარაკა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ კოტემ, მაგრამ არც ამან მოახდინა რაიმე შთაბეჭდილება ახალგაზრდა ქალზე. ის გაფაციცებით უცქეროდა ეკრანს და აშკარად იგრძნობოდა, რომ გივიზე ფიქრობდა.

სურათის დამთავრების შემდეგ ცოტა გაისეირნეს. კოტემ, რატომღაც, სრულიად დაჰკარგა ლაპარაკის უნარი. ირინეც ჩუმად იყო და არც კი ცდილობდა თავისი თაყვანისმცემელი გამოეყვანა ამ მდგომარეობიდან. ასე შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ ორთავენი იმ სახლს, სადაც ირინე ცხოვრობდა და კართან შეჩერდნენ.

— გმადლობ, კოტე. — გაუწოდა ხელი ირინემ — ამ დღეებში ბინას დავალაგებ და, იმედი მაქვს, შენისთანა საპატიო სტუმარს უკეთესად მივიღებ. თუ გივისაც მოიყვან, ძალიან დაგიმადლებ. ისე გამეხარდა, ახლა ეკრანზე რომ ვნახე, ვერ წარმოიდგენ.

— ვეცდები. ნახვამდის. — უთხრა კოტემ და დაფიქრებული განშორდა ახალგაზრდა ქალს.

ამის შემდეგ კოტე ხშირად დადიოდა ირინესთან, მაგრამ არასოდეს არ უფიქრია, რომ თან მოეყვანა გივი. აბა თქვენ მითხარით, რომელი თქვენგანი დათანხმდებოდა, რომ საშიში მეტოქის თანხლებით სტუმრებოდა სატრფოს. ამიტომ, კოტე, პირიქით, ცდილობდა — ირინე არასოდეს არ შეხვედროდა გივის და ყოველთვის ისეთ გეოგრაფიულ გრძედებს და განედებს ირჩევდა პაემანისათვის, სადაც მისი მეტოქის ყოფნა ასი პროცენტით იყო გამორიცხული. უფრო ხშირად ეს გეოგრაფიული წერტილი მისი კაბინეტი იყო.

ოჰ, ეს კაბინეტი! ვინ მოსთვლის ამ საქმიანობისათვის განკუთვნილ ფართობში, რამდენი მომაჯადოებელი ძალაა, ამავე ფართობის მფლობელთა აზრით. მაგრამ ირინე არ ფიქრობდა ასე და ახალგაზრდა ქალს ხშირად საოცნებოდ ჰქონდა გადაქცეული ამ კაბინეტიდან თავის დაღწევა. კოტე კი ცდილობდა ირინესათვის დიდი საქმის კაცად ეჩვენებინა თავი, წამდაუწუმ ტელეფონებით რეკავდა, ხანდახან ერთსა და იმავე დროს ორი აპარატით ლაპარაკობდა და, თითქოს ეს ორი მილაკი ყურებზე გაყრილ ღერძზე ჰქონოდეს დამაგრებული, ხან ერთ მილაკს აუწევდა თავს დასაცლელი ყანწივით და მეორეში გააფთრებული ჩაქაქანებდა, ხან მეორეს შეაბრუნებდა და პირველს მოიმარჯვებდა. მერე ორივე მილაკს აპარატის ულლებზე დაყრიდა, ქაღალდებს ეცემოდა და აქაც გადაჭარბებული საქმიანობით ართობდა სავარძელში მოწყენით მისვენებულ ირინეს. ხანდახან გამოსაცოცხლებლად ბოდიშს ესროდა და ვერ გრძნობდა იმას, რომ ახალგაზრდა ქალს უკვე გუნებაში ერთი ათჯერ მაინც დაეფიცებინა აქ ფეხი აღარ შემოედგა. თუკი ირინე წასვლას დააპირებდა ხოლმე, კოტე მაშინვე შეევედრებოდა ცოტა კიდევ დაეცადა და ისევ განაგრძობდა თავისი უშინაარსო საქმიანობით ახალგაზრდა ქალის წამებას.

მართალია ძალიან ცდილობდა კოტე ისეთ გარემოცვაში მოექცია ირინე და ისეთი ფარდები დაეკიდა მის გარშემო, რომ გივის ლანდიც კი არსად გამოჩენილიყო, მაგრამ ცხოვრება მაინც მოულოდნელ სარმას უდებდა ამ ჩვენი დროის გმირს.

პირველ მაისს კოტემ იმდენი მოახერხა, რომ დემონსტრაციაზე ირინე ამოიყენა გვერდში და სხვებთან ერთად გამარჯვებული მეომარივით ჩაიარა ტრიბუნის წინ. მოულოდნელად ირინემ აღტაცებით დაიძახა:

— აჰ, ხედავ გივის ტრიბუნაზე?

მართლაც ის ტრიბუნაზე იდგა და ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ესალმებოდა საპირველმაისო დემონსტრაციის მონაწილეებს. ირინეს კინაღამ კისერი მოეღრიცა ტრიბუნისაკენ ცქერით.

ახლა კი საბოლოოდ დარწმუნდა კოტე, რომ სანამ მას ბედი ახალი მოულოდნელი „ჯილდოთი" დაასაჩუქრებდა და გივის უფრო მაღალი კვარცხლბეკიდან გადმოახედებდა, (ახლოვდებოდა არჩევნები და მუშებს განზრახული ჰქონდათ ჭაბუკი მეფოლადე დეპუტატად აერჩიათ), საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება და მოწინააღმდეგის დაშამათება. მან მკლავში ხელი გამოსდო ირინეს და, როგორც კი ორივენი განმარტოვდნენ, ხუთ წუთში ჩამოაყალიბა თავისი მემორანდუმი. იგი შესდგებოდა ორი მუხლისაგან: პირველი, — უკვე საკმაო დროს გაევლო, რაც ორთავენი მარტოხელად ცხოვრობდნენ და ეს, ცხადია, აუტანელი იყო ორივე მაღალი მხარისათვის და მეორე, — ხომ არ ჩათვლიდა საჭიროდ მოპირდაპირე მაღალი მხარე, რომ მათ წესრიგში მოეყვანათ საუკუნო მეგობრული ურთიერთობა.

ამ აჩქარებამ ირინე, ცოტა არ იყოს, გააკვირვა. თანაც კოტეს ლაპარაკის კილოში იგრძნობოდა არა ის მიმზიდველი ინტიმურობა, რაც ორ ახეთ არსებას განსაკუთრებით აახლოებს, არამედ უცნაური და უმიზეზო გაღიზიანება. ამიტომ ირინეს უნებურად გაუმახვილდა ყურადღება. მას არ მოეწონა კოტეს ამგვარი ლაპარაკი და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ უპასუხა:

— იცი რა კოტე, არ შეიძლება ეს საუბარი გადავდოთ?

— რატომ?

— ჩვენ ჯერ კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს, ეს ხომ ისე უბრალო საკითხი არ არის, რომ ერთი დაკვრით გადავჭრათ. მერე მე მაოცებს ერთი რამ: შენ

ისე მელაპარაკები თითქო სიყვარულს კი არ მიხსნი, არამედ სამსახურში მლებულობ.

უარის გამომწვევი მიზეზი, ცხადია, გივი იყო და ამ ორმა შემთხვევამ, როდესაც ბედმა ასე ეშმაკურად მოახერხა მეტად ხელსაყრელ პირობებში დაენახვებინა ირინესათვის ახალგაზრდა მეფოლადე, კოტე დაარწმუნა, რომ საჭირო იყო ბედის საქმიანობაში ორგანიზებული ჩარევა. მისი აზრით ყველაზე ჭკვიანური იქნებოდა, თუკი ირინეს მარტენის საამქროში მიიყვანდა და იქ დაანახვებდა გივის. მაშინ ეს ქალი დარწმუნდებოდა, რომ მარტენის ღუმელის ალზე გარუჯული ახალგაზრდა კაცი, არცთუ ისე მიმზიდველი უნდა ყოფილიყო ასეთი სიფაქიზისა და ნატიფი მანერების მოყვარული არსებისათვის.

თავდაპირველად კოტეს განზრახული ჰქონდა თვითონ მიეყვანა ირინე მარტენის საამქროში, მაგრამ, როდესაც უფრო გამჭრიახად გახედა საქმეს, მიხვდა— ირინე გამიგებს, რომ განგებ მოვაწყვე ეს შეხვედრაო და გადაიფიქრა. მან იმდენი მოახერხა, რომ ირინე მარტენის საამქროში გადააყვანინა მორიგე ექიმად.

მას სურდა ერთი დარტყმით მოესპო მოწინააღმდეგე.

საქმის ასე მოგვარებამ ცოტა არ იყოს დაამშვიდა კოტე და ახლა იმის მეტი აღარ დარჩენოდა, რომ ცოტა მოეცადა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ირინეს თვალებში მოულოდნელად არ დაინახავდა თანაგრძნობის კაშკაშა ელვარებას.

ამგვარად, კოტემ გააკეთა ის სვლა, რომელსაც ჭადრაკში როქი ეწოდება და არხეინად დაუწყო ლოდინი შედეგს.

გივის წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, თუ რა ამბები ტრიალებდა მის გარშემო. მან, მართალია გაიგო, რომ ირინე რუსთავში მუშაობდა, მაგრამ ისიც გაიგო, რომ კოტეს დაესწრო და ბადეებით უკვე დაექსელა ყველა გზები, ამიტომ საქმე წინასწარ წაგებულად ჩათვალა და ბედს შეურიგდა. მით უმეტეს, მის წინაშე საპატიო ამოცანა წამოიჭრა. უნდა ეთავებინა და თავის ღუმელზე მომუშავე ბრიგადები ფოლადის ჩქაროსნულ დნობაზე გადაეყვანა. ეს საკმაოდ ძნელი და რთული საქმე იყო. თუ აქამდე ღუმელში დნობას საშუალოდ თორმეტ საათს ანდომებდნენ, ახლა მათ ეს პროცესი დაახლოებით რვა საათში უნდა მოეთავებინათ, ისე რომ ძირითადად ყოველ ცვლაში მთლიანად დაემთავრებინათ ფოლადის დნობა.

ამ საქმემ ისე გაიტაცა გივი, რომ ბოლო ხანებში აღარც კინოში წასულა, აღარც სპორტულ ვარჯიშობებზე და თავისი ცვლის შემდეგ ცოტას დაისვენებდა თუ არა, ისევ საამქროში მირბოდა, რომ მეორე ცვლის მეფოლადის ნამუშევარისთვის დაეხედა და მისთვის რჩევა-დარიგება მიეცა.

პირველად საქმე არცთუ ისე ადვილად დაიძრა ადგილიდან. მართალია თითქოს უკეთ მუშაობდნენ, მაგრამ ათ საათზე ნაკლები დრო საერთო ჯამში მაინც არ გამოდიოდათ.

დღეს დილით, როდესაც გივიმ ცვლა ჩაიბარა, სწორედ იმ წუთში გამოეშვათ ფოლადი. ასე, რომ მას ღუმელი ცარიელი დაუხვდა და გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა ცვლის დამთავრებისათვის ჩამოესხა საკუთარი ნადნობი.

— აბა, მარჯვეთ, ბიჭებო! — უთხრა მან თავის სამ თანაშემწეს, ნიჩაბს ხელი წამოუსვა და ღუმელის გაწყობას შეუდგა.

მალე ორთქლმავალმა ვაგონებზე დაწყობილი ჯართით სავსე როფები ჩამოაყენა და ჩამტვირთავი მანქანა შეუდგა მათ ჩაყირავებას ღუმელში. როდესაც ას ოცი ტონა ჯართი მთლიანად ჩატვირთეს, გივიმ მთელი სიმძლავრით აამუშავა ცეცხლის მფრქვევანა და გულდამშვიდებით მობრუნდა შემმოწმებელ ფარებისაკენ, სადაც შუშხუნა წყალის დამამზადებელი მანქანა იდგა და ნახტია გულუხვად უმასპინძლდებოდა ყველას ამ საამო სასმელით. მოულოდნელად მან თვალი მოჰკრა თეთრხალათიან ქალს და როდესაც დააკვირდა ირინე იცნო.

იცნო და იმავე წუთში ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ დადგა მისი იმედის ასრულებისა ... აქამდე გივი იმ აზრის იყო, რომ ისეთი ფაქიზი ქალიშვილი, რომელიც ცივ ნიავს არ იკარებდა, არასოდეს არ მოისურვებდა დასათვალიერებლად ქარხანაში მოსვლას და მით უმეტეს მარტენის საამქროში. ირინე ვერასოდეს ვერ ნახავდა გივის, როდესაც ის გაოფლილი და მთლად ნახშირისაგან შემურული იდგა მარტენის ღუმელთან, საიდანაც გამოვარდნილი ცეცხლის ენები თითქოს ცდილობდნენ სახეზე მოლამუნებოდნენ. ახლა გივის გავარვარებულ ღუმელში შევარდნა ერჩია ირინესთან შეხვედრას. დააპირა შეუმჩნევლად მიმალულიყო, მაგრამ უკვე გვიან იყო.

ირინემ იცნო, მაშინვე მიუახლოვდა და რაღაცა უთხრა. ღუმელების ყურის წამღებ გუგუნში გივიმ ვერაფერი ვერ გაიგონა, და საპასუხოთ ისლა მოახერხა, რომ გაუღიმა და უხერხულად მიმოიხედა. მაშინ ირინე ქურთუკის გულისპირში მისწვდა, თავისკენ დახარა და ყურში ჩასძახა:

— რა მიხარია შენი ნახვა. მე გავიგე, რომ შენ ამ საამქროში მუშაობდი და კოტეს ვეხვეწებოდი ჩემთან მოიყვანე-თქო. არ უთქვამს?

— არა! დასათვალიერებლად მოხვედი? — ჰკითხა გივიმ.

— მე თქვენი საამქროს ექიმი ვარ. — ჩასძახა ისევ ყურში ირინემ და მერე დასძინა — ცოტა იქით დავდგეთ, არაფერი არ მესმის.

ორივენი შუშაბანდიან სამორიგეოში შევიდნენ, იქ შედარებით სუსტად ისმოდა გუგუნი და ორ ადამიანს თავისუფლად შეეძლო საუბარი.

— ეს რა ძნელი პროფესია აგირჩევია, გივი!! — უთხრა ირინემ — არ გიჭირს?

— ცხადია, დაწესებულებაში სამსახური უფრო იოლია, მაგრამ რომ მომკლა იქ ვერ გავძლებ.

— იცი რა, განცვიფრებისაგან პირდაპირ თავზარდაცემული ვარ.

— რით?

— მე თავის სიდიადით ამის მსგავსი არა მინახავს რა. ახლა კი მესმის, რა შეძლებია ადამიანს. რა გრანდიოზულია აქ ყველაფერი, ზვიადი და მძლავრი! მერე როგორ წყალივით დუღს ფოლადი! ეს რა არის შუბლი სულ ოფლითა გაქვს დაცვარული. ცხვირსახოცი არა გაქვს? —მოიწმინდე თვალებში არ ჩაგივიდეს. მოიცა მე მაქვს.

ირინემ ჯიბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო თავისი ქათქათა აბრეშუმის ცხვირსახოცი და სანამ გივი მოასწრებდა თავი გაეწია, ექიმის ნაცადი ხელით თვალის უპეები მოწმინდა და გაჭუჭყიანებული ცხვირსახოცი მშვიდად ისევ ჯიბეში ჩაიდო.

— რა ცხელი სახე გაქვს, — თქვა ირინემ — ალბათ ტემპერატურაც აწეული გექნება. მომეცი ხელი, ერთი მაჯა გაგისინჯო. ეს რა არის? პულსი ას ოცი გაქვს. რა მოგივიდა? ავად ხარ, თუ ღუმელთან დგომის დროს ყოველთვის ასე გემართება.

— არა. — უპასუხა გივიმ — ღუმელთან დგომა მე ვერაფერს დამაკლებს, სტეტოსკოპი თუ გაქვს ერთი გული გამისინჯე.

ირინემ უნებურად ჩაიყო ხალათის ჯიბეში ხელი, მაგრამ ამ დროს გივის შეხედა და იმის სახეზე გაელვებულმა ღიმილმა ეს საექიმო ხელსაწყო მაშინვე გადაავიწყა. პირველად, და შეიძლება მხოლოდ ერთხელ მოუვიდა ამ ექიმ ქალს ასეთი უხეში შეცდომა, — სწორად ვერ დასვა დიაგნოზი და, ვერ მიხვდა, რომ ასეთ დაავადებას ესკულაპი კი არა, ჰიმენეი კურნავდა... ლოყები ალისფრად აულაპლაპდა, ბოდიშის მოხდასავით ჩაიცინა, რომ თავი შეეკავებინა ოდნავ ტუჩებზე იკბინა, მერე გივის ხელი გაუწოდა და უთხრა:

— მუშაობის შემდეგ ერთად წავიდეთ.

— რომ დამაგვიანდეს? გამდნარი ფოლადი უნდა ჩავაბარო.

—დაგელოდები. ან არა და მე თვითონ გამოგივლი. მინდა ვნახო, როგორ ილვრება ქვაბში დამდნარი ფოლადი.

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

კოტეს თამამად შეეძლო ეთქვა, რომ ეს მისი სამიჯნურო ისტორია, როგორც ხალხში იტყვიან, ჭადრაკულად წავიდა და მოულოდნელი დაბოლოება მიიღო. როდესაც ერთ საღამოს მის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა, რატომღაც გულმა უგრძნო, რომ ირინე რეკავდა. მართლაც აიღო თუ არა მილი, ყურში მისი ხმა ჩაესმა და სახე სიამოვნებისაგან ღიმილით გაებადრა; ცოტა ხნის შემდეგ ღიმილი მოულოდნელად ჩაუქრა, სახე უცნაურად დაუგრძელდა და ძლივს ამოილუღლუღა მადლობა.

მას ქორწილში ეპატიჟებოდნენ.

არის ხოლმე ჭადრაკში ისეთი შემთხვევა, როდესაც თავს საკუთარი სვლით დაიშამათებენ.



ქალაქი რუსთავი.
ახალი სასტუმრო.

ფოტო რ. აკოფოვისა

სურამის ციხესთან →
ნახატი ალ. ბანძელაძისა



ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



— ჭოდა, აი ასე მიმიღეს პიონერთა რიგებში.

ნახატი რ. ცუცქირიძისა



— არა უშავს, მიეჩვევი და შემდეგისთვის უფრო კარგად გააფორმებ კედლის გაზეთს.

ნახატი ზ. ლეჟავასი

ეროვნული ბიბლიოთეკა



— აბა ვნახოთ, ახლა რა სვლას გააკეთებ?!

ნახატი ზ. ლეჟავასი



— ნუ გეშინიათ, ბიჭებო, შვილნი ვართ, მაგრამ მაინც მოვიგებთ!

ნახატი ზ. ლეჟავასი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# უჯრედის განვითარება ცოცხალი ნივთიერებისგან

პროფესორი ო. ბ. ლეპეშინსკაია
სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სტალინური პრემიის ლაურეატი.

დიდი ხანია მეცნიერები სწავლობენ უჯრედის აღნაგობას, მის ცხოველმოქმედებას, კვებას, სუნთქვასა და გამრავლებას, მაგრამ უკანასკნელ დრომდე ეს შესწავლა არ იდგა სწორ გზაზე,—არ ხდებოდა უჯრედის შესწავლა მისი განვითარების პროცესში, არ სწავლობდნენ მისი წარმოშობის საკითხს.

საქმე ის იყო, რომ ჩვენში რევოლუციამდე, და კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლაც, მეცნიერთა უმრავლესობა ღვთის მორწმუნე ხალხი იყო. ისინი თვლიდნენ, რომ უჯრედი, ისე როგორც მთელი სამყარო, შექმნილია ღმერთის მიერ, ამიტომ უჯრედის წარმოშობის საკითხი საიდუმლოებით არის მოცული და არ შეისწავლებაო.

ასე, მაგალითად, მეცნიერ ვირხოვს მიაჩნდა, რომ ყოველი უჯრედი წარმოიშობა მხოლოდ უჯრედისაგან, რომელიც ოდესღაც შექმნილი იყო ზებუნებრივი, არამატერიალური ძალების ჩარევით. და რაკი ეს ასეა, აქ შესასწავლიც არაფერიაო.

ამხანაგი სტალინი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსში წერს, რომ განვითარების პროცესი ბუნებაში უნდა გავიგოთ „როგორც მოძრაობა აღმავალი ხაზით, როგორც გადასვლა ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაზე, როგორც განვითარება მარტივიდან რთულისაკენ, დაბალიდან უმაღლესისაკენ“.

ვირხოვი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ „ყოველი უჯრედი უჯრედისგანაა წარმოშობილი“ და რომ „უჯრედის გარეშე სიცოცხლე არ არსებობსო“. ამრიგად ისინი უარყოფდნენ განვითარებას მარტივიდან რთულისაკენ და ყოველივე ახალს, რევოლუციურს მეცნიერებაში მტრულად ეკიდებოდნენ.

ჩვენის აზრით კი, უჯრედს აქვს თავისი განვითარების გზა. ისიც, როგორც ყველა ორგანიზმი დარვინის მიხედვით ვითარდება და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვიფიქროთ, რომ შექმნილია ღმერთის მიერ.

ჩვენის აზრით, თუ არსებობს ცილეული ნივთიერება, ან რომელიმე უფრო რთული ნივთიერება, მაგალითად, პროტოპლაზმა, რომელშიც გარდა ცილისა შედის ნუკლეინის სიმჟავეებიც (მათ უჯრედის ბირთვი შეიცავს), და ეს ცილა, ან პროტოპლაზმა არ წარმოადგენს უჯრედს, არა აქვს უჯრედის აღნაგობა, არის ერთგვაროვანი, უსტრუქტურო ნივთიერება, მაგრამ მას ნივთიერებათა გაცვლის უნარი შესწევს,—მაშინ ის უდავოდ ცოცხალი ნივთიერებაა, რომელსაც ნივთიერებათა ცვლის შემწეობით შეუძლია ზრდა და განვითარება, განვითარების პროცესში კი უფრო მაღალი თვისების ახალი ფორმების მოცემა, ე. ი. ჯერ ქვეუჯრედების მოცემა, შემდეგ კი უკვე უჯრედებისა.

XVII საუკუნის ბოლოს „მიკრობებზე მონადირე“ ანტონ ლევენჰუკმა ერთ წვეთ წყალში აღმოაჩინა მიკროსკოპულ ცხოველთა და მცენარეთა ორგანიზმების მთელი სამყარო. შემდგომ მანვე აღმოაჩინა, რომ უთვალავი ასეთი მარტივი ორგანიზმები გასაოცარი სისწრაფით ვითარდებიან რომელიმე ნაყენში, მაგალითად, თივის ნაყენში.

წამოიჭრა კითხვა: საიდან ჩნდებიან ეს მიკროორგანიზმები ნაყენში? მეცნიერთა ერთი ჯგუფი, რომლის აზრით ბუნებაში ყველაფერი ვითარდება, ფიქრობდა, რომ მიკროორგანიზმები წარმოიშობიან თვით ნაყენში იმ მატერიის ნაწილაკებისგან, რომელიც ცილის სახით გამოიყოფა თივიდან. ასე შეიქმნა „თავისუფალი ჩასახვის“ თეორია. მეცნიერთა მეორე ჯგუფი, რომლის აზრით „ყოველი უჯრედი უჯრედისგანაა“, ფიქრობდა, რომ ჰაერში დაჰქრიან კვერცხები და თესლები, აქედან ცვივიან ნაყენში, იყოფიან იქ და იძლევიან მიკროორგანიზმების მთელ ამ მასას.

დიდმა ფრანგმა მეცნიერმა პასტერმა, რომელმაც გაიზიარა მეცნიერთა მეორე ჯგუფის აზრი, თავს იდო დაემტკიცებია, რომ თვითჩასახვა შეუძლებელია.

ამ მეცნიერმა, რომელსაც შესწავლილი ჰქონდა მიკრობებთან ბრძოლის ხერხები და ამ გზით აურაცხელი ადამიანის სიცოცხლე დაღუპვას გადაურჩენია, თვითჩასახვის საკითხში დიდი შეცდომა დაუშვა, და ვერც გადაჭრა ეს საკითხი. მაგრამ რაკი მან, ამ დიდმა ავტორიტეტმა, განაცხადა, თვითჩასახვა შეუძლებელიაო, იმ ხანებში თითქმის ყველამ დაუჯერა და ამით დიდი ხნით შეფერხდა მიკროორგანიზმების წარმოშობის შესწავლის საქმე.

რაში მდგომარეობდა პასტერის შეცდომა?

საქმე ისაა, რომ პასტერმა თივის ნახარში აადუღა და გარემოდან გამოთიშა ისე, რომ პარამეციების — პაწაწინა მწვანე ერთუჯრედოვანი ცხოველების ჩანასახები არ მოხვედრილიყვნენ თივის ნახარშში. პასტერმა ვერ გაითვალისწინა ის, რომ თივის ნახარშის დუღილი, ან რომელიმე საწამლავი ნივთიერებით, მაგალითად, სულემით მისი გაუვნებლება, არა მარტო ჩანასახს კლავდა, არამედ ამასთანავე კლავდა ცოცხალ ნივთიერებასაც, საიდანაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო ახალი პარამეციები. გარდა ამისა, გარემოდან ამ ნივთიერების იზოლირებით პასტერი გზას უკეტავდა ნივთიერებათა ცვლას. ასეთ მცდარ პირობებში წარმოებული ცდები, ცხადია, ვერაფერს დაამტკიცებდა.

დარვინის მიმდევარი მეცნიერი ჰეკელი ამბობს: „სპონტანური (თავისუფალი) ჩასახვის უარყოფა — ეს იმას ნიშნავს, რომ ვირწმუნოთ სასწაული, სიცოცხლის ღვთიური წარმოშობა. სიცოცხლე ან თავისუფლად, თავისთავად ჩაისახება ამა თუ იმ კანონზომიერებათა საფუძველზე, ანდა ის, ეს სიცოცხლე შექმნილია ზებუნებრივი ძალებით“.

შეიძლება თუ არა ამჟამად ეჭვი შეგვეპაროს, რომ ორგანიზმები ვითარდებიან თვითჩასახვის გზით?

ენგელსი წერს: „მხოლოდ დაკვირვების გზით შეიძლება გავარკვიოთ, თუ როგორ ხდება განვითარების პროცესი მარტივი პლასტიკური ცილეულიდან უჯრედისაკენ და, მაშასადამე, ორგანიზმისკენ“.

და აი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციტოლოგიურმა ლაბორატორიამ ხელი მოკიდა დაკვირვებათა საფუძველზე ცოცხალი ნივთიერებისა და ცილეულისაგან უჯრედის განვითარების შესწავლას.

ჩვენ ავიღეთ უჯრედზე უფრო მარტივი ნივთიერება — კვერცხის გული და ცილა და დაკვირვება ვაწარმოეთ მასზე ლაბორატორიაში: — როგორ იცვლება ეს მარტივი ნივთიერება ემბრიონის განვითარების პროცესში და ხომ არ წარმოიშობა კვერცხის გულისა და ცილისაგან უჯრედები?

აღმოჩნდა, რომ კვერცხის ინკუბაციის სხვადასხვა სტადიაზე კვერცხის გული მართლაც ძალიან იცვლება. პირველად ყოვლისა, კვერცხის გულის მასაში წარმოიშობა ბურთულები, რომლებშიც ჯერ არ მოიპოვება უჯრედის ნიშნები, მათში არ არის ბირთვი, მაგრამ არის კვერცხის გულის წვრილ-წვრილი მარცვლები.



ქათმის კვერცხის ინკუბაციის დღითი დღე შემოწმებით კვერცხის გულის ბურთულებში, მთელი რიგი სტადიების გავლის შემდეგ, ჩვენ ვამჩნევდით, თუ როგორ წარმოიშობოდა ბირთვი, ე. ი. კვერცხის გულის მარცვალი როგორ იქცეოდა ნამდვილ უჯრედად, რომელიც, როგორც ყოველი სხვა უჯრედი, იწყებდა გაყოფას. შემდეგ ჩვენ ვნახეთ, ამ ახალშობილი უჯრედისგან როგორ იქმნებოდა ემბრიონი, სისხლი და სისხლის ძარღვები.

აქედან ჩვენ ორ მნიშვნელოვან დასკვნამდე მივედით: პირველი, — კვერცხის გული მკვდარი საკვები მასალა კი არაა, არამედ ცოცხალი ნივთიერებაა, რომელიც ვითარდება და თავის განვითარებაში ახალ უჯრედებს იძლევა. მეორე,—უჯრედები წარმოიშობა არა მარტო უჯრედის გაყოფის გზით, არამედ, კიდევ, ცოცხალი ნივთიერების განვითარების გზითაც. შემდეგ ჩვენ დავაკვირდით, რომ თვით გაყოფის პროცესშიც კი ხდება უჯრედების ახალი წარმოშობა ცოცხალი ნივთიერებისგან. დედა-უჯრედის პროტოპლაზმისგან. ეს განვითარება გადის იმავე სტადიებს, რომელსაც გადიან კვერცხის გულის მარცვლებიდან წარმოშობილი უჯრედები.

კიდევ ერთ მოვლენას დავაკვირდით ჩვენ ზუთხის ხელოვნურად განაყოფიერებულ კვერცხებზე: გამოირკვა, რომ საკვერცხე უჯრედები მარტო უჯრედებისგან კი არ ჩნდება, არამედ ცოცხალი ნივთიერებისგანაც ვითარდება.

ჩვენი ლაბორატორიის მეცნიერ მუშაკი ო. პ. ლეპეშინსკაია შეუდგა ცილის განვითარების შესწავლას და აღმოჩნდა, რომ ცილაში წარმოიშობა უჯრედები, რომლებიც ისევე, როგორც ყველა ცოცხალი უჯრედი, იზრდებიან და ვითარდებიან. ამრიგად მან დაამტკიცა, რომ ამ შემთხვევაშიც იდეალისტები—ვირხოვი და მისი მიმდევრები—არ არიან სწორი, რომლებიც ქათმის კვერცხის ცილას ემბრიონის საკვებ არაცოცხალ ნივთიერებად თვლიდნენ. მისი გამოკვლევებით, ცილაც უჯრედების შექმნაზე იხარჯება, მაგრამ თუ რა ბედი მოელით მათ, ამ უჯრედებს შემდეგში, ჯერჯერობით არაა შესწავლილი.

ენგელსის თქმით, „ყველგან, სადაც არის ცილეული ნივთიერება, და მისი გახრწნის პროცესი არ დაწყებულა, ჩვენ სიცოცხლის მოვლენებს ვხვდებით“.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ, თუ უჯრედიდან გამოვყოფთ ცოცხალ ნივთიერებას და მას შესაფერ პირობებში ჩავაყენებთ, ე. ი. მივცემთ განვითარებისთვის საკვებს, ის უთუოდ უნდა განვითარდეს. ამის შესამოწმებლად ჩვენ ავიღეთ ჰიდრა. ეს მეტად მარტივი ცხოველია, რომელიც შედგება უჯრედებით მოფენილ ღრუსაგან. ამ ცხოველს რეგენერაციის (აღდგენის) დიდი უნარი აქვს. ჰიდრა შეიძლება წვრილ-წვრილ ნაჭრებად დასჭრათ და თვითეული ნაჭრიდან კვლავ ახალი ჰიდრა წარმოიშობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მის სხეულში არის ისეთი ნივთიერება, რომელიც ძალიან ადვილად ვითარდება.

ჩვენ ავიღეთ რამდენიმე ასეთი ჰიდრა (20 ცალი), დავნაყეთ ისინი როდინში, შემდეგ ცენტროფუგის საშუალებით დაუნაყავი ნაწილი მოვაშორეთ თხევად ნაწილს, რომელიც დანაყილ ცილეულ ნივთიერებას შეიცავდა.

ჩვენ დაკვირვებას ვაწარმოებდით მხოლოდ თხევად ნაწილზე, რომელიც, ჩვენის აზრით, შეიცავდა ცოცხალი ნივთიერების უმცირეს ნაწილაკებს.

დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ამ სითხიდან, მისი განვითარების პროცესში, წარმოიშობა პატარ-პატარა ბურთულები, რომლებიც, განაგრძობენ რა განვითარებას, წარმოშობენ უჯრედებს ბირთვით, და ეს უჯრედები იყოფიან და მრავლდებიან.

ამ ცდებიდან ჩვენ დავასკვენით, რომ ყველგან, სადაც არის ცილეული ნივთიერება, არის სიცოცხლეც. რაკი ეს ასეა, ჩვენს წინაშე წამოიჭრა საკითხი: რა როლს ასრულებს ცოცხალი ნივთიერება ჭრილობათა მოშუშების პროცესში?

ყოველი ჭრილობის დროს ჩვენ საქმე გვაქვს უჯრედების ნგრევასთან და, მაშასადამე, მათგან ცოცხალი ნივთიერების გამოყოფასთან.

პროფ. ო. ბ. ლეპეშინსკაია ლაბორატორიაში.

* სტატია დაწერილია სპეციალურად ჟურნალ „დროშისათვის“.

← ტყეში
ნახატი ალ. ბანძელაძისა

ცდებმა დაგვანახვეს, რომ ჭრილობის მოშუშების დროს სისხლი და სხვა უჯრედები ჰქმნიან წვრილ-წვრილ მარცვლებს, საიდანაც სხვა თვისების ახალი უჯრედები წარმოიშობა: ასე, მაგალითად, სისხლის წითელი ბურთულებისგან ჭრილობაში წარმოიშობა წვრილი მარცვლები, ამ მარცვლებისგან კი შეიქმნება არა წითელი ბურთულები, არამედ სულ სხვა თვისების სულ სხვა უჯრედები.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ სისხლის არსებობა ჭრილობაში აჩქარებს ჭრილობის მოშუშებას. ამის საფუძველზე ჩვენ შევთავაზეთ ჭრილობათა მკურნალობა სისხლის მიმატებით ჭრილობაში. მკურნალობის ეს მეთოდი შემოწმებულ იქნა ჰოსპიტალში ქირურგ პიკუსის მიერ და საუცხოო შედეგები გამოიღო.

ამრიგად, ჩვენს ლაბორატორიაში ჩატარებული მრავალნაირი ცდების საფუძველზე საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ არაა სწორი, თითქოს უჯრედის გარეშე არაა სიცოცხლე, რომ სიცოცხლე თითქოს მხოლოდ უჯრედიდან იწყება. რაკი უჯრედი, ჩვენი ცდების საფუძველზე, ცოცხალი ნივთიერებიდან წარმოიშობა, გამოდის რომ უჯრედამდეც არსებობს ისეთი ცოცხალი ნივთიერება, რომელიც ვითარდება და ახალ უჯრედებს ჰქმნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უჯრედამდეც არის სიცოცხლე.

ჩვენს ლაბორატორიაში ო. პ. ლეპეშინსკაიას მიერ ჩატარებულია მუშაობა ცოცხალ მატერიაში, ცოცხალ ნივთიერებაში კრისტალიზაციის მოვლენების შესასწავლად. მან დაამტკიცა, რომ მიკროორგანიზმები (ვირუსები და ბაქტერიები) კრისტალდებიან და რომ კრისტალები როგორც გარდამავალი მდგომარეობა ცოცხლიდან არაცოცხლისკენ, და პირიქით, არაცოცხლიდან ცოცხლისკენ, უნდა ვიფიქროთ, დიდ როლს ასრულებენ სიცოცხლის განვითარების პროცესში.

ჩვენს ლაბორატორიაში ცდებით შესწავლილია აგრეთვე ის, რომ ცოცხალი ნივთიერება ვითარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ნუკლეინის სიმჟავეებს შეიცავს, ე. ი. იმ ნივთიერებას, რომელიც უჯრედის ბირთვის შემადგენლობაში შედის.

ჩვენმა მეცნიერ მუშაკმა ვ. გ. კრიუკოვმა აჩვენა, რომ ნუკლეინის სიმჟავეები დიდ როლს ასრულებენ ცილეულის სინთეზში (შექმნაში). გარდა ამისა, მან დაამტკიცა, რომ ნუკლეინის სიმჟავეები ხელს უწყობენ ნივთიერებათა გაცვლას ცილეულში და ამით აძლიერებენ მის ცხოველმყოფელობას.

თუ ჩვენ დავრწმუნდით, რომ ცოცხალი ნივთიერებისგან მისი განვითარების გზით წარმოიშობა ახალი უჯრედები, ჩვენ კიდევ უფრო შორს შეგვიძლია წავიდეთ და შევისწავლოთ ცოცხალი ნივთიერებიდან თვით ვირუსების, ბაქტერიებისა და უმარტივესთა, მაგალითად, ამებათა მიღების საკითხიც.

ჩვენმა მეცნიერ მუშაკმა ვ. ნ. მიხინმა აჩვენა, რომ ამების გამრავლება ხდება არა მარტო გაყოფით, როგორც ეს აქამდე ეგონათ, არამედ გამრავლების სრულიად ახალი გზითაც. სახელდობრ, ბირთვისებრ-პროტოპლაზმური ხასიათის ერთნამცეცა მარცვლების აბორტაციით (გამოსროლით). თვითეული ამ მარცვლიდან წარმოიშობა ახალი უჯრედი. უჯრედის გამრავლების ეს ახალი საშუალება საინტერესოა იმით, რომ ახლა ნათელი ხდება ის მიზეზები, რომლებიც იწვევენ უმარტივესთა სწრაფ გამრავლებას და ავთვისებიანი სიმსივნეების სწრაფ განვითარებას.

რა მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის ყველა ამ ჩვენს ცდებსა და გამოკვლევებს?

პირველად ყოვლისა, ჩვენი მუშაობით, სიტყვით კი არა, ფაქტებით, ექსპერიმენტალური მონაცემებით ჩვენ უკუვაგდეთ ვირხოვის მიმდევართა, იდეალისტების მავნე მეცნიერება და ახალი პერსპექტივები დავუსახეთ მთელი რიგი ბიოლოგიური საკითხების დამუშავებას.

გარდა უჯრედებისა, ორგანიზმში თუ არის ცოცხალი ნივთიერებაც, მაშინ ყოველი დაავადების შესწავლის დროს, ცხადია, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ უჯრედები ცოცხალი ნივთიერებიდან წარმოიშობა და უნდა შევძლოთ ზუსტად გამოცნობა იმისა, თუ სად გვაქვს დაშლის (დეგენერაციის) პროცესი და სად უჯრედის ახალი წარმოშობის (რეგენერაციის) შემთხვევა, ვინაიდან თვითეულ ამ მოვლენას ორგანიზმში სულ სხვადასხვანაირად უნდა მივუდგეთ და თავისებურად ვუმკურნალოთ.

მიკრობიოლოგიის სფეროში ფართოდ უნდა იქნას შესწავლილი მიკრობების არაუჯრედოვანი ფორმები და ის ცოცხალი ნივთიერება, რისგანაც წარმოიშობა ეს მიკრობები. ეს გააადვილებს ყოველგვარ ინფექციასთან, გადამდებ სნეულებასთან ბრძოლის მეთოდს.

დასასრულს, თუ ცხოველთა სამყაროში ჩვენ გვაქვს უჯრედების წარმოშობა ცოცხალი ნივთიერებიდან, ცხადია, ასეთივე მოვლენები უნდა გვქონდეს მცენარეთა სამყაროშიც. ჩატარებულია წინასწარი ცდები მცენარეთა წვენზე, რამაც დადებითი შედეგები მოგვცა. ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში.

მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს ჯერჯერობით შემდგომ ღრმა და შეუპოვარ მუშაობას მოითხოვს.

# ნაძვები იწყებენ სიმღერას

ბორჯომ-პარკის ღია ესტრადა ხალხითაა გაჭედილი. ხალხი სულგანაბული უსმენს მოსკოველი პიანისტის დაკვრას, რომელსაც თავი უკან გადაუწევია და ნახევრადმოხუჭული თვალებით გასცქერის მაღალი ნაძვების სილუეტებს. ქრის სუსტი ნიავი. ნიავის შემობერვაზე შრიალებენ ნაძვები, თითქოს უნდათ ხავიანთ ხმა შეუერთონ პიანინოს, რომელიც ერთ დროს მათსავით ნაძვი იყო და აქ, ამ ადგილებში შრიალებდა.

ბორჯომის ხეობაში დასასვენებლად ჩასულ მშრომელებს, ტურისტებს, ან გზადმიმავალ მგზავრებს მუსიკასავით ესმით მაღალი, აშოლტილი ნაძვების შრიალი და ბევრმა, ალბათ, არც იცის, რომ ეს ჩვეულებრივი, უბრალო ნაძვები არ არის, რომ ეს ნაძვები სიმღერას იწყებენ, როცა მათ გამოცდილი ოსტატის მარჯვენა პიანინოებად და როიალებად აქცევს.

ასეთი ნაძვები მხოლოდ ორ ადგილას: იმიერკარპატის უკრაინაში და აქ, საქართველოში იზრდება. ბორჯომის ჯანსაღი ჰავა, მისი გეოგრაფიული მდებარეობა არაჩვეულებრივ სიმკვრივესა და სიმჭიდროვეს აძლევს ხის ბოჭკოებს. ამ მხარეში გაზრდილი ნაძვი რეზონატორის საუკეთესო თვისებებს იჩენს და ამიტომ მისგან პიანინო-როიალების დაფებს აკეთებენ.

პიანინოს დაფებისათვის გამოსადეგ მასალას გულდასმით უნდა შერჩევა. მნიშვნელობა აქვს ყოველ წვრილმანს, მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რა პირობებში და როგორ ადგილას იზრდება ხე. მისი დიამეტრი 50-60 სანტიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხეს არ უნდა ჰქონდეს კორძები, გული აბსოლუტურად თეთრი უნდა იყოს, და ა. შ.

გამოსადეგ ნაძვებს ფრთხილად სჭრიან გამოცდილი ხისმჭრელები და ბლოკების საშუალებით ნელა აწვენენ მიწაზე. ასევე ფრთხილად ჩამოაქვთ ისინი მთიდან და სპეციალური პლატფორმებით მოაქვთ თბილისში. მათი ტივებად შეკვრა არ შეიძლება, რადგან ამ ხეებს ვერ ანდობენ მტკვრის ტალღებს, რომლებმაც შეიძლება ისინი სადმე კლდეს შეახეთქონ. წყლით დასველებაც აფუჭებს მათ და „ხმას“ უკარგავს. შემდეგ ხდება ამ ხეების რადიალურად დახერხვა. თეთრ პრიალა ფიცრებს გასაშრობად ალაგებენ განსაკუთრებულ ფარდულებში და ასე სტოვებენ სამ წელიწადს, ან უფრო მეტ ხანს.

თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხანაში ამზადებენ ჩანგებს და ლითონის ნაწილებს ქართული პიანინოებისა და როიალებისათვის. ყველაფერი ეს საბოლოოდ თავს იყრის თბილისის მუსიკალურ კომბინატში.

კომბინატის ერთ საამქროში ყუთებს აკეთებენ, მეორეში ამ ყუთების პოლირებას ახდენენ, მესამეში სიმებს ჭიმავენ ჩანგზე, მეოთხეში უკვე დამზადებულ ინსტრუმენტებს აწყობენ... და ირგვლივ ისეთი ხმაურია, როგორც სიმფონიურ ორკესტრში კონცერტის დაწყების წინ. აქ კეთდება ქართული პიანინო-როიალები, რომლებიც მნახველებს თავისი ლამაზი, მოხდენილი ფორმებით ხიბლავენ, ხარისხით კი არაფრით არ ჩამოუვარდებიან ლენინგრადისა და საზღვარგარეთული მარკების ინსტრუმენტებს. „მუსიკალური კომბინატი თბილისი“ — ბრწყინავს ოქროსვარაყიანი წარწერა სარკესავით მოელვარე სახურავის შავ ფიცარზე. კომბინატის მუშაკები ამაყობენ თავიანთი პროდუქციით და ყოველთვის ცდილობენ კარგად და ხარისხოვნად შეასრულონ სამუშაო.

კარგად არის დაუფლებული თავის საქმეს სტახანოველი შ. კაციტაძე. მასთან მოდის ცალკეული მზა-ნაწილები და მის ხელში ხორცს ისხამენ პიანინოები და როიალები. სტახანოველ ზ. ლოლაძის მიერ გაპოლირებულ ფიცარს ნაკლს ვერ უპოვნით. რ. ბოლოტაშვილი კი ხის სამუშაოების უბადლო ოსტატია. ასეთი ადამიანებით და კიდევ მრავალი მათი მსგავსით ამაყობს თბილისის მუსიკალური კომბინატი.

კომბინატის კოლექტივი ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს; ომისშემდგომ ხუთწლედში მათ არ ჰქონიათ ჩამორჩენა. მრავალი მშრომელის ბინას ამშვენებს მათ მიერ გამოშვებული, ქართული მასალით გაკეთებული პიანინოები და როიალები და აგრეთვე აქვე დამზადებული ათასგვარი ავეჯი: ტანსაცმელისა და წიგნების კარადები, სასადილო და საწერი მაგიდები, სკამები, ხის საწოლები... ყველაფერი ეს აქ სწრაფად და ხარისხოვნად კეთდება.

წარმატებას ხელს უწყობს კომბინატის მთავარი ინჟინრის ამხ. გ. ხვედელიანის ნოვატორული ნიჭი. მას უკვე რამდენიმე გამოგონება აქვს ხის დამუშავების დარგში. 1950 წელს ხვედელიანის პროექტის მიხედვით ადგილობრივი ძალებით დამზადდა ახალი წნეხი, რომელზედაც ავტომანქანის სიჩქარის კოლოფია გამოყენებული. მისი საშუალებით ხდება ე. წ. მშრალი დაფანერება, რაც საგრძნობლად ამცირებს ხის ბზარიანობას. ხეზე ნიტროლაქებს პულვერიზაციის წესით ასხამენ, ამიტომ ლაქი თანაბრად არის განაწილებული ფიცრის ზედაპირზე.

აღსანიშნავია ხვედელიანის მიერ შექმნილი კონვეირული საგლინავი დაზგა. ხის მასალის გაგლინვა და პოლირება მეტად მომქანცველი და მომაბეზრებელი სამუშაო იყო. ახლა კი ამას ადგილობრივი მუშების მიერ ჯართისაგან დამზადებული მანქანა აკეთებს, რომელიც მგლინავის მოძრაობას ბაძავს. მის მიერ შესრულებული სამუშაო კუსტარული წესით შესრულებულ იმავე სამუშაოზე გაცილებით უფრო მაღალხარისხოვანია.

შეიცვალა თვით მუშაობის მეთოდიც. ამჟამად ავეჯის სრულიად მზა ცალკეული ნაწილები ერთ საამქროში იყრის თავს, სადაც მათი აწყობა ხდება. ყოველივე ამის შედეგად გაიზარდა შრომისნაყოფიერება და შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება. წინათ თუ ერთი მაღალკვალიფიციური მუშა თვეში მხოლოდ სამი მაგიდის გაკეთებას ახერხებდა, ახლა იგი ოცამდე მაგიდას აწყობს და, ამას გარდა, ამავე სამუშაოს შესრულება შეგირდსაც თავისუფლად შეუძლია. კომბინატის სპეციალისტები და მუშები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მთლიანად დააკმაყოფილონ ჩვენი რესპუბლიკის მოთხოვნილება პიანინოებსა და როიალებზე, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მათი პროდუქცია სანიმუშო იყოს მთელ კავშირში.

ვ. კილაძე





# ფრანგი ხალხის მამაცი შვილები

1952 წლის მაისი პარიზელებს დიდხანს არ დაავიწყდებათ: საფრანგეთში ჩავიდა ხოლერის გენერალი რიჯუეი, რომელმაც „სახელი გაითქვა“ თავისუფლებისმოყვარე კორეელი ხალხის შეუბრალებელი ხოცვით და ხელები გაისვარა უდანაშაულო ადამიანთა სისხლით. პინეის მთავრობა თავის ბატონს ფეხქვეშ გაეგო, ფრანგი მინისტრები ფინიებივით წკმუტუნებდნენ რიჯუეის წინაშე და, როგორც ერთგულ ლაქიებს შეშვენით, სისხლიან ჩექმებს ულოკავდნენ.

სულ სხვანაირად შეხვდა რიჯუეის ხალხი, მთელ საფრანგეთში და, პირველ რიგში, პარიზში საპროტესტო დემონსტრაციები მოეწყო. „რიჯუეი — მკვლელი“, „რიჯუეი — ხოლერა!“, „რიჯუეი — ომი, წაეთრიე ამერიკაში!“ გაისმოდა სიძულვილითა და ზიზღით ალსავსე ალშფოთების ხმები. ხალხის მრისხანე მოთხოვნამ თავზარი დასცა პინეი-ბრიუნის მთავრობას, ბატონის წინაშე შემკრთალს გზა-კვალი აებნა, გამოსავლის პოვნასა და რიჯუეის გულისმოგებას შეუდგა, შეთითხნა ბინძური პროვოკაციები კომუნისტების წინააღმდეგ და მათი ორგანიზაციების დარბევა და ხელმძღვანელების დაპატიმრება დაიწყო.

პირველად დააპატიმრეს გამოჩენილი ფრანგი მწერალი, თავისუფლებისა და მშვიდობისათვის მამაცი მებრძოლი, გაზეთ „ლუმანიტეს“ მთავარი რედაქტორი ანდრე სტილი.

ფრანგი ხალხის მტრებმა თავიანთ დანაშაულში უფრო ღრმად შეტოპეს, —28 მაისს დააპატიმრეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი — ფრანგი ხალხის საყვარელი შვილი ჟაკ დიუკლო. სტილისა და დიუკლოს დაპატიმრებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, მოეწყო მასობრივი გაფიცვები და დემონსტრაციები მთელს საფრანგეთში. ფრანგი ხალხის აღშფოთებას გულმხურვალედ გამოეხმაურნენ მთელი მსოფლიოს მშრომელები. სანტეს საპატიმროში ჟაკ დიუკლო და ანდრე სტილი მსოფლიოს ყველა კუთხიდან თანაგრძნობის უამრავ დეპეშებსა და წერილებს იღებდნენ, ჟაკ დიუკლოს გათავისუფლებისათვის ბრძოლა მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობის ნათელ დემონსტრაციად გადაიქცა.

— შანხაი პარიზიდან შორს არის, მაგრამ როგორ ახლოა და გასაგები ჩვენთვის, შანხაელებისათვის, პარიზელების ბრძოლა თავიანთი თავისუფლებისათვის! — ამბობდა ჟაკ დიუკლოს დაპატიმრების გამო შანხაიში მოწყობილ ხალხმრავალ მიტინგზე უბრალო მქსოველი ქალი ხან პეილანი.

ხან პეი-ლანის ამ უბრალო სიტყვებში გამოხატულება ჰპოვეს ყველა ქვეყნის კეთილი ნების ადამიანთა ფიქრებმა.

პინეის და ბრიუნს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ჟაკ დიუკლოს დაპატიმრებით მათ ხალხი ვერ დააშინეს. პირიქით 28 მაისს, დიუკლოს დაპატიმრების დღეს მარტო სენისა და უაზის დეპარტამენტში საფრანგეთის კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა 500-ზე მეტი მუშა.

სახალხო პროტესტების, გაფიცვებისა და დემონსტრაციების წინაშე საფრანგეთის მთავრობა თავს ისე გრძნობდა, როგორც თაგვი ხაფანგში. მათ ვერ გაბედეს ჟაკ დიუკლოსა და ანდრე სტილის გასამართლება, რადგან კარგად იციან, რომ სასამართლოში ბრალდებულნი ბრალმდებლებად გადაიქცევიან და ბოლომდე გამოააშკარავებენ პინეის მთავრობის ბნელ ზრახვებს.

ხალხის გაუტეხელმა სიმტკიცემ და მშვიდობისათვის დარაზმულობამ აიძულა რეაქცია უკან დაეხია.



ფოტოზე — ზემოთ: ჟაკ დიუკლო; ქვემოთ: ანდრე სტილი სტამბის მუშებთან.

# ფრედერიკ ჟოლიო-კიური

ფრედერიკ ჟოლიო-კიური თანამედროვე გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი და მშვიდობის საქმისათვის დაუცხრომელი მებრძოლია. თავის მეუღლე ირენ კიურისთან ერთად მას დიდი დამსახურება მიუძღვის ატომური ენერგიის აღმოჩენაში; მანვე გადაჭრით მოითხოვა ამ ენერგიის კაცობრიობის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ფიზიკისა და ქიმიის დარგში მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი.

ფრედერიკ ჟოლიო-კიური დაიბადა 1900 წლის 19 მარტს პარიზში, მუშის ოჯახში. ღარიბმა მშობლებმა ფრედერიკი შეიყვანეს ლაკანალის ლიცეუმში, სადაც დიდად ნიჭიერი ახალგაზრდა თავგამოდებით სწავლობდა. ყველაზე უფრო მას აინტერესებდა ფიზიკა და ქიმია. 15 წლის ბიჭმა აბაზანაში მოაწყო ლაბორატორია და დაიწყო ცდების ჩატარება.

1926 წელს, პარიზში, რადიოს ინსტიტუტში ფრედერიკმა გაიცნო და შემდეგ ცოლად შეირთო ცნობილი მეცნიერის — პიერ კიურის ქალიშვილი ირენ კიური. ამ დროიდან ისინი განუყრელი მეგობრები გახდნენ, ერთად ატარებენ მეცნიერულ მუშაობას. ცოლის პატივსაცემად ფრედერიკ ჟოლიომ თავის გვარს მიუმატა ცოლის გვარი და გახდა „ფრედერიკ ჟოლიო-კიური“.

როგორც მეცნიერი ფრედერიკ ჟოლიო-კიური ჩამოყალიბდა გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის პოლ ლანჟევენის უშუალო გავლენით.

ახალი აღმოჩენების დარგში ჟოლიო-კიურიმ თავის მეუღლესთან ერთად განსაკუთრებით დიდ წარმატებას მიაღწია 1933 წელს. ხელოვნური რადიოაქტივობის აღმოჩენამ მათ მსოფლიო მეცნიერის სახელი გაუთქვა. ამ აღმოჩენისათვის 1935 წელს მან მიიღო ნობელის პრემია, 1937 წელს კი მას კათედრა ჩააბარეს „კოლეჟ დე ფრანს“-ში.

ჰიტლერელ დამპყრობთაგან საფრანგეთის გათავისუფლების შემდეგ, 1948 წელს ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ პირველმა შექმნა ურანის ქვაბი — საატომო დანადგარი, ბირთვის შიგა ენერგიის გამოსამუშავებლად და ხელოვნური რადიოელემენტების მისაღებად.

ფრედერიკ ჟოლიო-კიური არის საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 10 უცხო სახელმწიფოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი, 15 სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი საფრანგეთში და საზღვარგარეთ.

ფრედერიკ ჟოლიო-კიურის კალამს ეკუთვნის მრავალი მეცნიერული შრომა. ესენია: „რადიოელემენტების ელექტრო-ქიმიური გამოკვლევა“, „რადიოელემენტების ელექტროქიმია“, „დადებითი ელექტრონის გადაცემის პირობები“, „ელექტრონის მატერიალიზაცია და ცვალებადობა“, „დადებითი ელექტრონის ცვალებადობა“, „პროტონისა და ნეიტრონის მასის სირთულე“, „რადიოაქტივობის ახალი ტიპი“ და სხვ.

ამერიკელ იმპერიალისტებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ გამოჩენილი ფრანგი მეცნიერის აღმოჩენები. მათ მიზნად დაისახეს მოესყიდათ ჟოლიო-კიური, წაეყვანათ იგი ამერიკაში და გამოეყენებინათ ატომური ენერგიის წარმოების დარგში. ომის გამჩაღებელი ბარუხი მას მილიონ დოლარს შეპირდა, მაგრამ ამაოდ, ფრედერიკ ჟოლიო-კიურიმ სასტიკად გაკიცხა და დაგმო ადამიანთა სიცოცხლით მოვაჭრენი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფრედერიკ ჟოლიო-კიური იბრძოდა გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ. თავის ლაბორატორიაში, გერმანელთა ცხვირწინ, ჟოლიო-კიურიმ მოაწყო საიდუმლო იარაღის საწყობი. იგი ამზადებდა გრანატებსა და ნაღმებს, რომლითაც ფრანგ პატრიოტებს ამარაგებდა. 1942 წლის სუსხიან დღეებში ჟოლიო-კიური შევიდა კომუნისტური პარტიის რიგებში. „მე შევდივარ პარტიაში იმიტომ, რომ პატრიოტი ვარ. სამშობლოსათვის ყველაზე მძიმე დღეებში გავიგე, თუ ვინ არიან კომუნისტები და რა არის კომუნიზმი“ — ამბობდა იგი.

ფრედერიკ ჟოლიო-კიური საბჭოთა კავშირის მეგობარია. 1933 წელს იგი საბჭოთა მეცნიერების მოწვევით პირველად ჩამოვიდა მოსკოვში, სადაც დიდი ინტერესით გაეცნო საბჭოთა კავშირის მიღწევებს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში.

მოწინავე ფრანგ მეცნიერს ასულდგმულებს მშვიდობის აურაცხელ ძალთა გამარჯვების მტკიცე რწმენა. ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის ჟოლიო-კიურის მიენიჭა საერთაშორისო სტალინური პრემია.

# მოგზაურობა... 1,5 კილომეტრის მანძილზე

ედ. ყიფიანი

ფოტო ო. თურქიასი

ტელეფონი აწკრიალდა. სადგურის მორიგემ სწრაფად შეირბინა სამორიგეოში და ყურმილი აიღო. „მატარებელი გამოვიდა“ -- იტყობინებოდნენ უახლოესი სადგურიდან. მორიგემ რამდენიმეჯერ მძლავრად ჩამოჰკრა ლითონის დიდ ზარს და კვერთხით ხელში გარეთ გაციდა მატარებლის შესახვედრად. სადგურზე ჩოჩქოლი ატყდა. აქამდე მშვიდად მოსეირნე მგზავრებმა ბილეთები მოიმარჯვეს, ბაქნის მთელ სიგრძეზე ჩამწკრივდნენ და ადგილები ამოირჩიეს, თითქოს წინდაწინ იცოდნენ, თუ სად გაჩერდებოდა მათი ვაგონი. ორთქლმავალმა ჯერ შორიდან მოაკივლა სადგურს, ცოტა ხნის შემდეგ კი ქშენით შემოიჭრა პირველ ლიანდაგზე და შეჩერდა... სალაროსთან მდგარ მგზავრებს მღელვარება დაეტყოთ, — მატარებელმა არ გაგვასწროსო, კონდუქტორებმა ვაგონში შემავალ მგზავრებს ბილეთები გაუსინჯეს. ორთქლმავალი შემადგენლობას მოსცილდა და ჩვეულებრივი მანევრების შემდეგ ახლა წინიდან მოექცა ვაგონებს.

ყველაფერი ისევე ხდება ამ სადგურზე, როგორც დიდ რკინიგზაზე, მხოლოდ ერთი განსხვავებით: აქ მატარებელიც, ლიანდაგიც, რკინიგზელებიც და მგზავრებიც პატარები არიან, ეს ხომ მართლაც პატარა განსხვავებაა! თითქოს დურბინდის მეორე მხარედან უყურებ დიდი სარკინიგზო სადგურის ცხოვრებას.

— ორივეს ბილეთი მე მაქვს, დეიდა!





ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ნინომ ძლივს მიუსწრო უკანასკნელ ბილეთს.

***

უკვე 17 წელია, რაც დაჰქრის ეს საბავშვო მატარებელი. მისი პირველი მემანქანეები, კონდუქტორები და მეისრეები, ახლა ნამდვილი მემანქანეები, კონდუქტორები და მეისრეები არიან. თბილისის საბავშვო რკინიგზაც ხომ სწორედ ამ მიზანს ემსახურება. მან რკინიგზელთა მრავალი თაობა აღუზარდა ჩვენს სამშობლოს.

თბილისის და საქართველოს სხვა ქალაქების სკოლებში ჩამოყალიბებულია ნორჩ რკინიგზელთა წრეები. მათში 900-დე მოსწავლეა გაერთიანებული. ზამთრობით ისინი თეორიულ საგნებს ითვისებენ, ზაფხულობით კი თბილისის საბავშვო რკინიგზაზე იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას.

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის პარკში გაყვანილი რკინიგზა პირველი საბავშვო რკინიგზაა მთელ მსოფლიოში. დღეისა-

ბილეთების გაყიდვა დაიწყო.



თვის კი უკვე საბჭოთა კავშირის 20 ქალაქშია ასეთივე მოწყობილობა. დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებმაც მიბაძეს საბჭოთა პიონერებს: საბავშვო რკინიგზა ახლა რუმინეთის და პოლონეთის მოსწავლეებსაც აქვთ.

წელს საქართველოდან 20 საუკეთესო ნორჩი რკინიგზელი აირჩევა. ისინი ესტუმრებიან როსტოვის, ხარკოვის და მოსკოვის მოსწავლეებს მათ რკინიგზებზე. მაგრამ განა მხოლოდ დასათვალიერებლად გაემგზავრებიან თბილისელები, — ისინი იმსახურებენ კიდევაც ამ პატარა რკინიგზებზე.

* * *

...ორთქლმავალი მძიმედ დაიძრა სადგურ „პიონერიდან". ახალი მგზავრებით დატვირთული საზაფხულო ვაგონები მორჩილად აედევნენ უკან. ვაგონთა მოაჯირებზე პატარა ბავშვები გადმოხრილან. ზოგი იცინის, ზოგი ხელს უქნევს სადგურზე დარჩენილ მშობლებს. სულ მალე ეს პატარები დაიზრდებიან, მაშინ უკვე დიდ მატარებლებში ჩასხდებიან და ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხისაკენ გასწევენ. ზოგი საგარაკოდ წავა, ზოგი მშენებლობაზე, ზოგიერთი კი რკინიგზით შემოივლის მთელ საბჭოთა კავშირს ჩვენი სამშობლოს მხარეების დასათვალიერებლად და შესასწავლად. იქნებ, სწორედ მაშინ გაახსენდეთ ეს პირველი დამოუკიდებელი მგზავრობა რკინიგზით, ქალაქის ბაღში რომ იწყებოდა და იმავე ბაღში თავდებოდა.

* * *

მრავალი მნახველი ჰყავს თბილისის საბავშვო რკინიგზას. პატარების გარდა, აქ დიდებიც მოდიან. ყველა განცვიფრებულია იმით, რომ ბავშვები სრულიად დამოუკიდებლად ემსახურებიან თავიანთ რკინიგზას. ყველა კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ საბჭოთა მოსწავლეები ასეთი „თვალსაჩინო საშუალებით" ეუფლებიან თავიდანვე არჩეულ პროფესიას. სწორედ ბავშვების კარგი დაოსტატების შედეგია ის ფაქტი, რომ აქ არც ერთი მარცხი არ ყოფილა. ხუმრობა ხომ არ არის, ეს ერთ-ერთი რკინიგზაა მსოფლიოში, რომელზედაც ავარია არ მომხდარა!!

თბილისის საბავშვო რკინიგზას ხშირად ათვალიერებენ უცხოეთიდან ჩამოსული დელეგაციები. აქ იყვნენ ბულგარეთის პიონერთა ორგანიზაციის მუშაკები, ინგლისის „სტუდენტთა ნაციონალური კავშირის" დელეგაცია, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, პოლონეთის, ნორვეგიის და ინდოეთის დელეგაციები. საზღვარგარეთელი სტუმრების საერთო აზრი ლამაზად და მოკვეთილად გამოთქვეს ჩინელმა სტუმრებმა. აი, რა ჩასწერეს მათ შთაბეჭდილებათა წიგნში: „აქ ჩანს საბჭოთა ბავშვების დიდი ნიჭი და უნარიანობა. ამ მატარებლით ისინი ბედნიერებისაკენ წაიყვანენ მთელი მსოფლიოს ბავშვებს".

* * *

თბილისის საბავშვო რკინიგზა 1,5 კილომეტრის სიგრძის წრეს წარმოადგენს, რომელზედაც სამი სადგურია განლაგებული: „პიონერი", „სიხარული" და „მზიური". არ შეიძლება არ დაეთანხმოთ სადგურების ამ სახელწოდებებს; ეს მართლაც პიონერული, მართლაც სასიხარულო და მზიური სადგურებია.

— თქვენი ბილეთი, მოქალაქე!





— ალლო... სადგური „სიხარულია"? ვაგზავნი მატარებელს.



მატარებელი ახლოვდება, გზა გადაკეტილია!

უახლოეს ხანებში მოხდება ამ რკინიგზის დიდი რეკონსტრუქცია. ხაზი რადიოფიცირებული იქნება; სადგურის მორიგე უშუალოდ დაუკავშირდება გზაში მყოფი ორთქლმავლის მემანქანეს. მერე კი რკინიგზა პარკის ფარგლებსაც გასცილდება; მატარებელი ივლის მტკვრის ნაპირას, მარცხენა სანაპიროზე. აშენდება ახალი, პატარა სადგურები, მათ ახალსა და ლამაზ სახელებს უწოდებენ. სულ უკანასკნელ, საბოლოო სადგურს კი თბილისის პიონერები, ალბათ, „მშვიდობას" შეარქმევენ, როგორც მსოფლიოს ბავშვების საერთო სურვილსა და მისწრაფებას.

წინ, სრული სვლით, პატარა რკინიგზელებო!

მოგზაურობა 1,5 კილომეტრის მანძილზე დამთავრდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ. უსთუნგელი

# გველი და აფთარი

მხატვარი დ. ხახუტაშვილი

თურქი საზოგადო მოღვაწე ხ. უსთუნგელი, სხვა პროგრესულ ადამიანებთან ერთად, კარგა ხანს იტანჯებოდა თურქეთის საპყრობილეში. იგი იმ კომუნისტთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც ხმა აიმაღლეს თურქი ხალხის და აგრეთვე, ნაციონალურ უმცირესობათა ჩაგვრის წინააღმდეგ, ხმა აიმაღლეს დემოკრატიის ნიღაბს ამოფარებული დესპოტური ხელისუფლების წინააღმდეგ.
უსთუნგელის „ციხე და თავისუფლებაში“ აღწერილი პირები ნამდვილი, რეალური ადამიანები არიან, რომელთაგან ზოგი დღესაც ცოცხლობს. „გველი და აფთარი“, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ, ერთი თავია თურქი კომუნისტის, ხ. უსთუნგელის ჩანაწერებიდან — „ციხე და თავისუფლება“.

ზანტად მიიზლაზნებიან დღეები ციხეში. მრავალწლიანი პატიმრობის თვითეული დღის დაღამება ისევე ძნელია, როგორც ფისის დადნობა საკუთარი სუნთქვის სითბოთი. დრო უქარო ამინდში ჩამოშვებულ მძიმე აფრასავით დაეკიდა საათის ისრებს. წუთები ზოგჯერ წლებად ეჩვენება კაცს.

ერთი შეხედვით ყველა ეს დღეები ერთმანეთს გვანან, მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ციხის პირქუშ კედლებში წინ არ მიდიოდეს ცხოვრება. არა, ამ ნესტიან ქვებს შორისაც გრძელდება ბრძოლა; ბორკილგაყრილი დღეები არ მეორდებიან ჩვენს წინაშე ისე ერთფეროვნად, როგორც გასროლილი კამათლის გვერდები.

შუაღამეა. მბჟუტავი ღამის სანათურის მოკიაფე სინათლე თვალებს გვჭრის. მოულოდნელად ყურთამდე იღება საკანის კარები. შემოდის ჟანდარმერიის ოფიცერი და უფროსი ზედამხედველი. ოფიცერი მომიბრუნდა და მეუბნება:

— ჩაიცვი! ბატონი ვალი* გიბარებს!

მართალი რომ ვთქვა, მე არც კი მჭირდება ჩაცმა. საკმარისია მხოლოდ ფეხსაცმელებში ფეხის გაყრა. ჩემი ამხანაგი ხმაამოუღებლად მიყურებს. ალბათ ამ წუთში მე და მას ერთი და იგივე ამაღელვებელი აზრები გვიელავს თავში.

ბადრაგის თანხლებით გამოვდივარ ციხიდან. მივდივართ...ვალის სახლი ზღვის ნაპირას დგას. ქვის შენობა დაბურულია სუროთი.ირგვლივ ველური ალუბლები და მაგნოლიებია. ნავსადგურში ციმციმებენ სამგზავრო გემის სინათლეები. ეს სინათლეები რომ არა, შეიძლება იფიქრო, თითქოს ტყეში იმყოფები.

ჟანდარმები ჩერდებიან ვალის სახლის ჭიშკართან. ოფიცერმა წინ გამიშვა. ავდივართ კიბეზე.

მაღალ კარებთან პოლიციის კომისარი დგას. კარის ყოველ საგდულზე სულთან აბდულ-ჰამიდისეული ჩუქურთმიანი ვენზელებია გამოყვანილი. შევდივართ ფართო კაბინეტში. დიდი ფანჯრები ზღვას გადაჰყურებენ, იატაკზე ხალიჩებია დაფენილი. კედლებზე და ჭერზე ძველებური დამწერლობაა. მოჩანს ძველი, სულთანის გუბერნატორის დროინდელი სავარძელი. ქემალისტებმა — ამ ერთმა მუჭა პოლიტიკურმა სპეკულიანტებმა, რომლებიც მსხვილი ბურჟუაზიისა და მემამულეების ინტერესებს გამოხატავენ, ხელუხლებლად დასტოვეს სულთანების სახელმწიფო მმართველობის მანქანა. მისცეს მას მხოლოდ რესპუბლიკური ბრწყინვალება, და ამ ძალადობის და ჩაგვრის აპარატზე დააკრეს მარტოოდენ ეტიკეტი: „T. C.“ (Türkiye Cumhuriyeti — თურქეთის რესპუბლიკა). გუბერნატორები, გენერლები, მოსამართლეები, მოხელეები, ოფიცრები, პოლიცია და ჟანდარმერია — ყველაფერი ეს ხელუხლებლად დარჩა ძველი, მონარქიული თურქეთისაგან.

ღრმა სავარძელში გაშხლართულა ბერიკაცი, რომელსაც ჩაშავებული სახე, მსუქანი, სართულებად დაკეცილი კისერი და ჩამოკიდებული ლოყები აქვს. მაშინვე ვცნობ ვალის. მას „ლიპიანი არაბი“ შეარქვეს. მის გვერდით სარგადაყლაპულივით ზის კბილებში სიგარეტგარჭობილი ქერა, პირხმელი კაცი. პირხმელ კაცს მშიერი აფთარის თვალები აქვს. ჩემს ზურგს უკან ოფიცერი დგას.

ვალი ხმაურით სვამს ყავას, ფინჯანს ატრიალებს ხელის თითების წვერებით ისე, თითქოს ჯადოქრობის ჩადენას აპირებსო. ამ ხორცის ტომარას უკვე სასტიკი ჯალათის რეპუტაცია აქვს მოხვეჭილი, მისი ბრძანებით ართვინში და არდანოშში ხევში გადაჰყარეს და მდინარე ჭოროხში დაახრჩვეს ათასობით სომეხი — ქალები, ბავშვები და მოხუცები. იგი ლაზების უბოროტესი მტერია. ვინ მოთვლის, რამდენი ლაზური სოფელი გადაუწვავს! დღემდე შემორჩენილან სოფელ ჯანოს ნანგრევები. ეს ვალი — ერთი იმ პირსისხლიან მჩაგვრელთაგანია, რომლის ხელებით ნაციონალურ უმცირესობათა თურქიზაციის პოლიტიკას ახორციელებენ ანკარის ხელისუფალნი.

მე ვდგავარ მაგიდის წინ. ვალი და პირხმელი კაცი თავით ფეხებამდე მათვალიერებენ. მე კი მათ პირდაპირ თვალებში შევცქერი. არ ვიცი რომელი მხრიდან დამესხმებიან თავს.

ვალის ლეში შეინძრა და თავი წინ გამოსწია. ამ მომენტში იგი რაღაცით მახრჩობელა გველს მაგონებს. მაგრამ მე მისთვის კურდღლის ბაჭია არა ვარ. ბოლოს ვალის ტუჩები შეინძრა:

— ვინ არის კომუნისტური პარტია?— ხრიალებს იგი.

— „დაბერებულხარ და ჭკუა ვერ გისწავლია!“ — კინაღამ წამომცდა, მაგრამ თავს ვიკავებ. შემდეგ მშვიდად ვპასუხობ:

— როგორც თქვენი კითხვიდან ჩანს, იგი ვიღაც კაცი უნდა იყოს.

ლაპარაკში პირხმელი კაცი ერევა: ცხვირში მჩრის ხელისგულისოდენა ქაღალდს.

— შეხედე, ეს თქვენმა, შენმა ამხანაგებმა დაწერეს. და ქაღალდებს ისევ სწრაფად მალავს. „მშრომელ ხალხს“... „...კომუნისტური პარტია“ — ვასწრებ მე თავში და ბოლოში მსხვილი ასოებით დაბეჭდილი სიტყვების გარჩევას.

პირხმელი პირდაპირ თვალებში შემომაჩერდა. შემდეგ იღებს მაგიდიდან ფოტოსურათებს, სათითაოდ მაჩვენებს მათ და განუწყვეტლივ სახელს და გვარს მეკითხება.

— არ ვიცი, ვერ ვცნობ!—ვპასუხობ მე.

— ისინი გამოტყდნენ, რომ შენ გიცნობენ. შეხედე, აი, მათი ჩვენება!..

— არ არის მართალი. ყველაფერი ეგ— სიცრუეა!

— კეთილი, იუარე, იუარე! სულ ერთია მაინც ვერ გადაარჩენ შენს ტყავს.

ცხადია, დაკითხვაზე შუაღამისას იმისთვის გამომიძახეს, რომ, უბრალოდ, ჩემი დაშინება უნდათ. მათ რომ ხელში ჰქონდეთ რაიმე კოზირი, ასე არ დაიწყებდნენ ლაპარაკს.

პროკლამაციის ფურცელი მახარებს: მაშასადამე, მუშაობა არ სუსტდება, მაგრამ სახელები, რომლებსაც მეუბნებიან და ფოტოსურათები საშინლად მტკენს გულს. გამოდის, რომ კიდევ იყო დაპატიმრებები.

ვალი კიდევ უფრო გადაწვა სავარძელში. მიყურებს ხან მე და ხან ფოტოსურათებს. შემდეგ პროკლამაციებს აცქერდება. სახე დამანჭა, მიუბრუნდა ჩემს ზურგს უკან მდგომ ოფიცერს და ჩახლეჩილი ხმით გამოცრა კბილებიდან.

— მოაშორეთ აქედან!

— მგზავრი ქარავან-სარაის არ ასცილდება!— მესროლა ზურგში ანდაზა პირხმელმა კაცმა, როცა კაბინეტიდან გამოვდიოდით.

თარგმნა ვ. ძეძელიძემ

* ვალი — გუბერნატორი

# ბაღდათის ცის ქვეშ

ქუთაისიდან სამხრეთით 25 კილომეტრის მანძილზე, მდინარე ხანის-წყლის ხეობაში მდებარეობს სოფელი მაიაკოვსკი — ყოფილი ბაღდათი. იქ, სადაც ხანის-წყალი ვიწრო ხეობიდან ფართო ველზე გამოდის, მდინარეზე რკინის ხიდია, რომლის მარჯვენა თავში დაფაა წარწერით:

„სისულელეა: სამოთხე. ედემი,
მაგრამ თუ პოეტმა აქაზე იოცნება,
ალბათ საქართველოს ლამაზი ქვეყანა
იგულისხმეს მგოსნებმა“...

(ვ. მაიაკოვსკი)

წაიკითხავთ ამ წარწერას და მიმოიხედავთ. თქვენ მაიაკოვსკის სამშობლო სოფელში ხართ. ხიდიდან 20-30 ნაბიჯის მანძილზე დაინახავთ რკინის ჭიშკარს და წარწერას: „ვ. მაიაკოვსკის სახელმწიფო მუზეუმი“. მუზეუმის ეზოს დასავლეთით ჩაუდის მშფოთვარე ხანის-წყალი, ჩრდილო-დასავლეთისაკენ კედლივით აღმართულა ხვამლის მთა, ჩრდილოეთისაკენ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს კავკასიონის გოლიათები: თეთნულდი, ჯანგი-ტაუ, კატინ-ტაუ, რუსთაველის პიკი და შხარას კედელი, რომლებსაც აღტაცებით გაჰყურებდა პატარა ვალოდია.

გაივლით ხეხილით დაჩრდილულ გზას და ძველი იმერული ოდის კიბეს მიადგებით.

მუზეუმის ორ პატარა ოთახში აღდგენილია მაიაკოვსკების ბინა. მესამეში — დარბაზში მოწყობილია პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გამოფენა. პირველ ორ ოთახში ცდილან ყველაფერი აღედგინათ ისე, როგორც ეს იყო ამ 57 წლის წინათ. მეტყევის ვლადიმერ კონსტანტინეს-ძის კაბინეტი, მისი წიგნები, ვალოდიას აკვანი, ძველებური ფოტოაპარატი, რომელთანაც დაკავშირებულია პოეტის პირველი ლექსი („Мама рада, папа рад, что купили аппарат.“) და სხვა ნივთები. მემორიალური განყოფილება მუზეუმისა აღდგენილია პოეტის დედისა და დების უშუალო მონაწილეობით და დახმარებით. უფროსი დის ლიუდმილა ვლადიმიროვნას მზრუნველობამ შემოუნახა ისტორიას პოეტის მრავალი ნივთი და ბარათი.

დარბაზში ფოტოსურათების, მხატვრული წარწერების, ფოტო-დოკუმენტების, ზეთის საღებავებითა და აკვარელით შესრულებული სურათების საშუალებით ჩვენ ვეცნობით პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მომსვლელთა ყურადღებას იპყრობს ვალოდიას მიერ წაკითხული პირველი წიგნი—რაღაც „მეფრინველე ალათია“. — მაშინ რომ რამდენიმე ასეთი წიგნი ჩამვარდნოდა ხელში, კითხვას სულ მივანებებდი თავსო, — ამბობს პოეტი თავის მოგონებაში. აქვეა მისი საყვარელი მეორე წიგნი „დონ კიხოტი“, რომელმაც მოხიბლა და კითხვა შეაყვარა მას. პოეტი ამ წიგნის შესახებ წერს: „აი წიგნი, გავიკეთე ხის ხმალი და ჯავშანი, ვმუსრავდი ირგვლივ ყველაფერს“.

ჯერ კიდევ ბაღდათში ყოფნისას, 7-8 წლის ვალოდია გამოირჩეოდა კარგი მეხსიერებით და დეკლამაციური ნიჭით. ეს მომენტი აღბეჭდილია მხატვარ მაყაშვილის მიერ შესრულებულ სურათზე. პატარა ვალოდია კითხულობს ლექსს დიდ ქვევრთან, რომელიც გამოყენებული აქვს ხმის გასაძლიერებლად, როგორც რეზონატორი, იქვე თავმოყრილი ბავშვების აუდიტორია უსმენს პატარა დეკლამატორს.

მუზეუმში დაცულია პოეტის პირველი სურათი 3 წლის ასაკში გადაღებული. მაიაკოვსკების ოჯახისა და ნათესავების სურათი ხანის-წყლის ხიდთან, გლეხებთან ერთად გადაღებული ვალოდიას მამის სურათი.

ფართოდ არის ნაჩვენები ექსპოზიციაში პოეტის ცხოვრების ქუთაისის პერიოდი. აქ, ქუთაისში, ის გახდა მოწმე და მონაწილე იმ გმირული რევოლუციური ბრძოლისა, რომელსაც ქართველი ხალხი ეწეოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ეს ის წლებია, როდესაც ახალგაზრდა ი. ბ. სტალინი ჩამოდის ქუთაისში და მისი ინიციატივით ყალიბდება სამეგრელოს ბოლშევიკური კომიტეტი. სტალინის მიერ მომზადებული პროპაგანდისტები მუშაობდნენ ქუთაისის გიმნაზიაშიც, სადაც სწავლობდა მაიაკოვსკი. მაიაკოვსკი მარქსისტთა წრის მსმენელია. ამ განყოფილებაში გამოფენილია პოეტის წერილები, რომლებიც ნათელყოფენ მის რევოლუციურ სულისკვეთებას.

შთაბეჭდილებათა წიგნი სამ ტომს შეიცავს. მრავალი ამაღელვებელი და გულწრფელი ჩანაწერია ამ წიგნში. თავიანთი დიდი სიყვარული პოეტისადმი აღბეჭდეს სტუმრებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სტუდენტებმა ვოლგისპირა ქალაქებიდან, ციმბირიდან, მოძმე რესპუბლიკებიდან, დამსვენებლებმა წყალტუბოს სანატორიუმიდან, მუშებმა და მოსწავლეებმა ჭიათურიდან, ბათუმიდან, ფოთიდან და სხვ.

მაიაკოვსკის ძველი მეგობარი, ისიდორე მორჩაძე, რომელმაც 1909 წელს პარტიის დავალებით მოსკოვის ქალთა ციხიდან გააქცია 13 პოლიტკატორღელი ქალი, წერს: ვალოდიას ქუთაისში ვიცნობდი 1903 წლიდან. შემდეგ მოსკოვში მათთან ვცხოვრობდი ერთ ბინაში, სადაც ნაქირავები მქონდა ოთახი. მეგობრულ განწყობილებაში ვიყავი პოეტთან სიკვდილამდე. 1909 წლის 1 ივლისს, ის დააპატიმრეს ჩემს ბინაზე. დაკითხვის დროს მან შემდეგი ექსპრომტი უთხრა პრისტავს: „я пришел сюда по рисовальной, а пристав Мещанской части решил, что я виноват отчасти и надо разорвать меня на части“.

შალვა ხუნდაძე წერს: „ვალოდიას და მის მთელ ოჯახს კარგად ვიცნობდი, ხშირად დავდიოდი მათ ოჯახში მოსკოვში. მათთან ცხოვრობდნენ მაშინ ჩემი მეგობარი სტუდენტები — ბიჭიკო ჟღენტი და სიმონიკა წერეთელი. ვალოდია იყო მეტად მშვიდი, წყნარი ბავშვი, ჩვენზე უმცროსი, მუდამ წიგნით ხელში და ჩვენ ხუმრობით ხშირად ვეტყოდით: აი მომავალი გენიოსი, — რაც ჩვენდა საბედნიეროდ გამართლდა“.

მუზეუმი ამჟამად ამზადებს ექსპოზიციის ახალ განყოფილებებს. ამ განყოფილებებში დამთვალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს, თუ როგორ იბრძოდა მაიაკოვსკის სიტყვა სამამულო ომის დროს, როგორ გვეხმარება დღეს მშენებლობის ფრონტზე და როგორ იბრძვის ის მშვიდობისათვის.

როგორც თავისი ცხოვრებით, ისე თავისი შემოქმედებით პოეტი ვ. მაიაკოვსკი ქართველი ხალხის დიდი მეგობარი იყო. მისი სახელობის მუზეუმი მაიაკოვსკიში არის ბრწყინვალე გამოხატულება დიდი რუსი და ქართველი ხალხის საუკუნო მეგობრობისა.

მიქელ პაპარიძე

5023



ვ. ვ. მაიაკოვსკის მუზეუმის შენობის ხედი სამხრეთიდან.



სოფ. მაიაკოვსკის ხედი.

ფოტო ლუცენკოსი

# თბილისი-სოფია






## 2 : 1





**14** ივლისს რადიო-მიმღებებთან და რეპროდუქტორებთან შეგროვილი ფეხბურთის მოყვარულები სულგანაბულნი უსმენდნენ საინტერესო მატჩის ტრანსლიაციას მოსკოვიდან. ხალხით გაჭედილ სტადიონიდან ყოველ წუთში მოჰქონდა რადიოტალღებს ტაშის გრიალის ხმა. ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ გუნდი შეხვდა სოფიის ნაკრებ გუნდს.

თამაში ქართველ სპორტსმენთა იერიშებით დაიწყო. დაწყებიდან სულ რაღაც ოციოდე წამი ძლივს გავიდა, რომ კ. გაგნიძის მიერ დარტყმული ბურთი გაეხვია სტუმრების ბადეში. ბულგარელები ამაოდ ცდილობდნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას. ისინი მხოლოდ თამაშის მე-10 წუთზე გამოერკვნენ თბილისელთა თავბრუდამხვევი იერიშებისაგან და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. მე-23 წუთზე სოფიელმა იანევმა მოახერხა თბილისელთა კარში საპასუხო ბურთის გატანა.

მატჩის პირველ ნახევარში ანგარიში არ შეცვლილა, მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდი თავგამოდებით ცდილობდა ბურთის გატანას. მე-28 წუთზე ბულგარელმა მეკარემ სოკოლოვმა ვერ მოახერხა ბურთის აღება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია, რადგან გუნდის კაპიტანმა ბ. აპოსტოლოვმა უკანასკნელ მომენტში გადაარჩინა თავისი კარი აშკარა გოლისაგან

თამაშის მეორე ნახევარი თითქმის სულ თბილისელებს მიჰყავდათ; მათ რამდენჯერმე ჩაშალეს მოხერხებული კომბინაცია სტუმრებისა, რომლებიც ვერ არღვევდნენ „დინამოელთა“ თავდაცვის რკალს და ვერ უძლებდნენ ჭკუასელის, გაგნიძის, ღოღობერიძის, ვარდიმიადის, თოდრიას ელვისებურ იერიშებს.

დაძაბული თამაშის მე-30 წუთზე კ. გაგნიძის მიერ თავური დარტყმით გაგზავნილი ბურთი მეორედ გაეხვია სოფიის ფეხბურთელთა გუნდის ბადეში და თბილისის „დინამოს“ გამარჯვებათა წიგნში ჩაიწერა კიდევ ერთი სასახელო ანგარიში — 2 : 1.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თოჯინები მოძრაობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



თოჯინა „გურამი"

ბევრმა არც კი იცის, რომ თბილისში არსებობს თოჯინების მუზეუმი. შედიხართ მის ოთახებში და ნამდვილ თოჯინების სამფლობელოში გრძნობთ თავს. დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებენ უბრალო ჩვრებისაგან შეკერილი, ანდა ხისაგან გამოთლილი ხალხური თოჯინები, კუსტარული ნაწარმი და ფაბრიკაში დამზადებული ექსპონატები.

მუზეუმში გამოფენილია აგრეთვე ბურჟუაზიული ყოფა-ცხოვრების ამსახველი თოჯინებიც, რომლებიც უსაქმობით მოღლილ ქალბატონთა გასართობათ, მათი ბუდუარების შესამკობად არის შექმნილი.

აქვეა წარმოდგენილი მოძმე რესპუბლიკის ოსტატთა მიერ დამზადებული თოჯინების მრავალი ნიმუში. ყველაფერი ეს დიდი სიყვარულით არის შეგროვებული და ექსპონირებული.

თოჯინების მუზეუმი სასარგებლო მუშაობას ეწევა. მისი ძირითადი მიზანია ახალი ქართული თოჯინების შექმნა, მათი გავრცელება და სათამაშოების მწარმოებელი ორგანიზაციებისადმი დახმარების აღმოჩენა.

ამ მხრივ თოჯინების მუზეუმს ბევრი კარგი საქმე აქვს გაკეთებული. აი, მაგალითად: ქართულ კაბაში გამოწყობილი მეჩონგურეთა ხუთი თოჯინა მღერის „სულიკოს". თოჯინები ხელებს ამოძრავებენ. ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ჩონგურის ლარებს ახმაურებდნენ; თავებსაც ხრიან აქეთ-იქით. სიმღერის დასასრულს ხელმძღვანელი წამოდგება და მოკრძალებით თავს უკრავს მაყურებელს.

არა ნაკლებ საინტერესოა მოცეკვავე თოჯინა. მას მოსართავი მექანიზმი კი არა აქვს: პატეფონი უკრავს საცეკვაოს, ფირფიტის მოძრაობასთან დაკავშირებულია მაგნიტის მკლავისებური რკინა, რომელიც თოჯინას ამოძრავებს. თოჯინა რიტმულად მიყვება მოტივს, შლის ხელებს ქართული ცეკვის შესაბამისად.

მუზეუმს აქვს უფრო მარტივი თოჯინებიც. აი „მანანა"—დარბაისელი ქართველი ქალი, ამაყად ზის სავარძელში. ამ თოჯინამ პრემია მიიღო მოსკოვში 1937 წელს, სათამაშოების ოსტატ მხატვართა შეჯიბრებაზე. მაშინ ერთი პრემია გასცეს მხოლოდ და ისიც „მანანას" ერგო.

პრემირებულია აგრეთვე ამ მუზეუმის მიერ დამზადებული ქართველი სოფლელი ბიჭი „გურამი". ბუნებრივია მისი ჩაცმულობა, სახის გამომეტყველება.

მუზეუმს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული სხვადასხვა გამოფენაზე—მოსკოვში, თბილისში, უზბეკეთში და სხვ.

საინტერესოა აგრეთვე „კვახურა"—მწარე გოგრისაგან გაკეთებული თოჯინა. მისი ამოძრავება ხელზე ჩამოცმით შეიძლება. საერთოდ, მუზეუმს აქვს თოჯინების თეატრალური პერსონაჟების მიხედვით გაკეთებული მრავალი ასეთი ექსპონატი.

მუზეუმში ნახავთ პუშკინის ზღაპრების პერსონაჟებს, ილია ჭავჭავაძის „კაცია ადამიანის" გმირებს. ისინი ამ მხატვრულ ნაწარმოებთა თავისებურ ილუსტრაციებს წარმოადგენენ.

თოჯინების გარდა, მუზეუმის კოლექტივი მუშაობს სხვადასხვა სახის სათამაშოების შესაქმნელად. მან შექმნა საბავშვო ბაღებისათვის ქალაქისა და საკოლმეურნეო სოფლის სათანადო ანსამბლები.

ქალაქის სახე მოცემულია თავისი დამახასიათებელი ნაგებობებით, ყოფითი დეტალებით. მასალა იმდენად გონებამახვილურადაა შემზადებული, რომ მისი მეოხებით ბავშვს მრავალი სახის არქიტექტურული ანსამბლის შექმნა შეუძლია.

ასევე კარგადაა მოცემული საკოლმეურნეო სოფელი მისი დამახასიათებელი პეიზაჟით. ამ სათამაშოებით ბავშვი ერთობა, თანაც ჩვენი ქალაქისა და სოფლის ყოფა-ცხოვრებას ეცნობა და სწავლობს.

საინტერესო მუშაობას ეწევა თოჯინების მუზეუმი. სამწუხაროდ, მისი ნამუშევარი ამ დაწესებულების გარეთ არ ჩანს, მის მიერ შექმნილი სათამაშოები მასობრივ მომხმარებლამდე ვერ აღწევენ.

სათამაშოების მწარმოებელი არტელები და, რაც მთავარია, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სათამაშოების ფაბრიკა ყურადღებას არ აქცევს მუზეუმის მიერ დამზადებულ ექსპონატებს. და ეს მაშინ, როცა მუზეუმის ექსპონატები ბევრჯერ სჯობია ამ ორგანიზაციების მიერ დამზადებულ მეტად ერთფეროვან, სტანდარტულ თოჯინებს და სხვა სახის სათამაშოებს.



მოცეკვავე თოჯინა — მხატვარი ბეგთაბეგიშვილი.



მხატვარი ბრაილაშვილი მის მიერ გაკეთებულ თოჯინებთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა



# „იუნ ლე და დიანის" ბედი

ჩინეთის ერთ-ერთ უძველეს და მოცულობით უდიდეს წიგნად ითვლება სახელგანთქმული „მარადიული სიხარულის ენციკლოპედია" — „იუნ ლე და დიან".

სახელი იუნ ლე — მარადიული სიხარული — XV საუკუნეში ჩინეთის ერთ-ერთმა იმპერატორმა მიიღო. მისი მეფობის დროს შედგენილ ენციკლოპედიასაც ეს სახელი დაერქვა.

საინტერესოა ამ ენციკლოპედიის შექმნის ისტორია.

XV საუკუნის პირველ მეოთხედში იმპერატორმა იუნ ლემ მიზნად დაისახა მონღოლების შემოსევით გაჩანაგებული ჩინეთის ნაციონალური კულტურის აღორძინება. მან უბრძანა მეცნიერებს შეედგინათ ყველა თანამედროვე ცოდნის ზოგადი ენციკლოპედია. ეს ლექსიკონი-ცნობარი შუასაუკუნეების ჩინური სიბრძნის წყაროდ უნდა ქცეულიყო.

„იუნ ლე და დიანის" შედგენაზე 2160 მეცნიერი მუშაობდა სამი პრეზიდენტის, ხუთი დირექტორისა და ოცდაექვსი ვიცე-დირექტორის ხელმძღვანელობით. მუშაობა დაიწყო 1404 წელს.

მთელი მასალა სამ წელიწადში შეგროვდა, მაგრამ ენციკლოპედიის დაბეჭდვა შეუძლებელი შეიქნა, მიუხედავად თვით იმპერატორის უზენაესი ბრძანებისა. წიგნის ბეჭდვა ჩინეთში ცნობილი იყო ჯერ კიდევ X საუკუნეში, მაგრამ შუასაუკუნეების ჩინურმა სტამბებმა ვერ შეძლეს ასეთი უზარმაზარი შეკვეთის შესრულება. იძულებული შეიქნენ ენციკლოპედია ხელნაწერი სახით გამოეცათ.

მთელი ენციკლოპედია — პირველი იეროგლიფიდან დაწყებული უკანასკნელამდე — გადაწერილი იყო უცნობი გადამწერის მიერ, რომელსაც შესანიშნავი კალიგრაფიული ხელი ჰქონებია. იმდროინდელი წიგნები ერთიმეორესთან შეკრული აბრეშუმის ან ბრინჯის ქაღალდის თამასებს წარმოადგენდნენ. თვითეული ტომი — „ცე" ცალ-ცალკე წიგნისაგან „ძიუანეისგან" შედგებოდა. ყოველი ტომი ცალ-ცალკე ჩანთაში — „ბიაოში" იდებოდა. ასეთია გარეგნული სახე ამ ხელნაწერი წიგნისაც.

ენციკლოპედიის ფურცლები მხოლოდ ერთი მხრიდანაა დაწერილი და გარმონივით არის დაკეცილი. ხელნაწერი შესრულებულია წითელი და შავი ტუშით.

ენციკლოპედია „გამოქვეყნდა" 1407 წელს, ის შედგებოდა 11995 ცესაგან, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილი იყო 22937 ძიუანეიად. ენციკლოპედია „და დიანი" საერთო მოცულობით ნახევარ მილიონ გვერდს შეადგენდა. მარტო სარჩევს 60 ძიუანეი ეჭირა. ენციკლოპედია ილუსტრირებული იყო. მასში მოთავსებული იყო მრავალი ძვირფასი, კაპიტალური ნაშრომი: ისტორიას ეკავა 41 განყოფილება, ფილოსოფიას — 103, ლიტერატურას — 175.

„იუნ ლე და დიანი" — ჩინეთის ნაციონალური კულტურის უძვირფასესი საგანძურია. ის შეიცავს უმდიდრეს ფაქტიურ მასალას ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებიდან, ასტრონომიიდან, მედიცინიდან, იმდროინდელი ტექნიკიდან. განსაკუთრებით სრულყოფილადაა მოცემული სტატიები ჩინეთის ლიტერატურაზე.

საგულისხმოა, რომ „იუნ ლე და დიანი" შექმნილი იყო დიდი ხნით ადრე, ვიდრე პირველი ევროპული ენციკლოპედიები გამოჩნდებოდა.

ჩინეთის კულტურამ, რომელმაც XV საუკუნეში „იუნ ლეში" ჰპოვა განსახიერება, უდიდესი გავლენა მოახდინა მონღოლ დამპყრობლებზე. როცა XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ჩინეთი მონღოლმა მომთაბარეებმა დაიპყრეს, მონღოლეთის მესვეურებმა გადაწყვიტეს მოესპოთ ჩინეთის სახელმწიფო, გაეჟლიტათ ხალხი და ჩინეთის თვალუწვდენი ტერიტორია მონღოლების პირუტყვისათვის გიგანტურ საძოვრებად გადაექციათ.

მონღოლ ხანთა გეგმების შესახებ, როგორც თქმულება გადმოგვცემს, გაიგო ერთმა მსხვილმა ჩინელმა მოხელემ. მას მოუხერხებია ხანთან მისვლა და დაურწმუნებია იგი, რომ ჩინეთის ეკონომიკისა და კულტურის მოსპობა სრულებით არ იქნებოდა ხელსაყრელი დამპყრობლებისთვის. ხანი ჩაუფიქრებია მის ნათქვამს და მიმხვდარა, რომ ჩინეთის მრეწველობის, ვაჭრობის, მიმოსვლის გზების განვითარებას, მისთვის შეუძლია მხოლოდ სიკეთის მოტანა.

მონღოლთა ხელისუფლება ვერ დაეყრდნობოდა მარტო სამხედრო ძალას. ამიტომ იყო, რომ მონღოლები შეუდგნენ კონფუციელ სწავლულთა ცოდნის გამოყენებას და სამსახურშიც ჩინელ მოხელეებს იწვევდნენ.

ჩინელ მეცნიერთა გამოყენება რომ აუცილებელი იყო მონღოლებისთვის, ეს მეტად მხატვრულად გამოთქვა ერთ-ერთმა მონღოლმა სახელმწიფო მოღვაწემ, რომელმაც თქვა: „თუმცა ჩვენ იმპერია ხელში ჩავიგდეთ ცხენზე ჯდომით, მაგრამ მის მართვას ცხენზე ჯდომით ვერ შევძლებთო"...

დაახლოებით ასი წელი გაგრძელდა მონღოლების ბატონობა ჩინეთში. დამპყრობლები, რომლებიც წინათ ჩინელი ხალხის კულტურის მოსპობას ფიქრობდნენ, არამცთუ სპობენ ამ კულტურას, პირიქით, თვითონ ექცევიან მისი გავლენის ქვეშ.

„იუნ ლე და დიანის" ორიგინალი ინახებოდა ნანკინში — ჩინეთის პირველი იმპერატორების ძველ დედაქალაქში. იმპერატორმა იუნ ლემ თავისი დედაქალაქი პეკინში გადაიტანა, რომელიც ამ დროიდან ქვეყნის ნაციონალური ერთიანობის სიმბოლოდ იქცა.

XVI საუკუნის ნახევარში „და დიანის" ორი ასლი იქნა გადაღებული. XVII საუკუნეში ხანძრის დროს დედანი და ერთი ასლი დაიღუპა. დარჩა ერთადერთი ასლი, რომელიც, როგორც ჩინეთის სხვა უიშვიათესი განძეული, ინახებოდა პეკინში, იმპერატორის სასახლეში, მოგვიანებით კი გადატანილ იქნა ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

1900 წელს, ხანძრის დროს პეკინში დაიღუპა დარჩენილი ასლის ცალკეული ტომები, მაგრამ ენციკლოპედიის დიდი ნაწილის გადარჩენა მაინც მოხერხდა.

„ბოქსიორთა აჯანყების" ჩახშობის შემდეგ (1901 წელს) ჩინეთიდან გატანილ იქნა ათასობით წიგნი, მათ შორის „იუნ ლე და დიანის" რამდენიმე ათეული ტომი. ზოგიერთი მათგანი დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ რუსეთში მოხვდა.

... გავიდა ათეული წლები. ჩინეთის ხალხი გათავისუფლდა ათასწლოვანი ფეოდალური და ასწლოვანი იმპერიალისტური უღლისაგან. იგი ახლა თავისი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონია.

ახალი ჩინეთი — მემკვიდრეა ყველაფერი იმისა, რაც საუკეთესო რამ შექმნა დიდმა ჩინელმა ხალხმა თავისი ორმოცსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე. ჩინელი მეცნიერი-მარქსისტები ათავისუფლებენ „იუნ ლეს" რელიგიურ-ფეოდალურ შუასაუკუნეობრივი ნაშთებისაგან და, სხვა საშუალებებთან ერთად, ენციკლოპედიას იყენებენ იმისათვის, რომ ჩინეთის კულტურა გადააქციონ „ფორმით — ნაციონალურ, ხასიათით — ხალხურ, შინაარსით — მეცნიერულ კულტურად — ჭეშმარიტად მასობრივ კულტურად" (მაო ძე-დუნი).

ჩინეთის სახალხო მთავრობა მიისწრაფვის შეკრიბოს ჩინეთის ლიტერატურისა და ხელოვნების უნიკალური განძეული, რომელიც გაფანტულია მთელ ქვეყნიერებაზე.

საბჭოთა ქვეყანა დახმარებას უწევს ახალ ჩინეთს ამ კეთილშობილი ამოცანის შესრულებაში.

ამას წინათ ა. ა. ჟდანოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ფაკულტეტის ბიბლიოთეკამ მოსკოვში გადაგზავნა ამ ენციკლოპედიის თერთმეტი ტომი ჩინეთისათვის გადასაცემად.

„იუნ ლე და დიანის" ტომების ჩინეთისთვის დაბრუნება კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, თუ როგორ მტკიცდება და ძლიერდება მეგობრობა ამ ორ დიდ ხალხს შორის.

# მაიმუნები თოვლში დასეირნობენ

თეთრი, განიერი კიბით, რომლის ორივე მხარეზე პალმები ჩამწკრივებულა, ხალხის ნაკადი მიემართება მთაზე გაშლილ ტაფობისაკენ. აქ მდიდარ სუბტროპიკულ ნარგავთა შორის აღმართულია სსრ კავშირის სამედიცინო აკადემიის სუხუმის სამედიცინო-ბიოლოგიური სადგურის მრავალი შენობა და ვოლიერი.

სამედიცინო-ბიოლოგიური სადგურის უმნიშვნელოვანეს განყოფილებაში — მაიმუნთა საშენში ამ ცოტა ხნის წინად გამოჩნდა რამდენიმე ახალშობილი — უკვე მეხუთე თაობის წარმომადგენელნი. ამჟამად სადგურში ითვლება ოთხასზე მეტი მაიმუნი. მათი უმრავლესობა სუხუმშია დაბადებული. ისინი ცხოვრობენ სპეციალურად აგებულ სახლებში და ვოლიერებში — პარკის შემოღობილ დიდ ადგილებში, სრული თავისუფლების პირობებში. სუხუმში დაბადებულმა და გაზრდილმა პავიანებმა, გელადებმა და მაკაკებმა მშვენივრად გადაიტანეს **1949-50** წლების მკაცრი ზამთარი.

მაიმუნები არავითარ უხერხულობას არ გრძნობენ ვოლიერებში და მთლიანად გატაცებული არიან თავიანთი „საქმეებით": ისინი ერთმანეთს ეთამაშებიან, ხშირად „ახალგაზრდობა" იტუქსება „მოხუცებისაგან" გადაჭარბებული სიცელქის გამო. ისინი დახტიან ხეებზე, დანავარდობენ მიწაზე, სიამოვნებით შეექცევიან კაკალსა და სხვა ხილს, ხშირად თავს იყრიან და თითქოს რაღაცაზე საუბრობენ.

**1927** წლის სექტემბერში როდესაც საბჭოთა მეცნიერებმა მაიმუნთა ჯგუფი ჩამოიყვანეს სუხუმში, ახლად შექმნილ სამედიცინო-ბიოლოგიური სადგურის კოლექტივის წინაშე წამოიჭრა ამოცანა — შეენარჩუნებიათ ცხელი ტროპიკების მცხოვრებნი საქართველოს სუბტროპიკული ჰავის პირობებში. საბჭოთა მეცნიერებმა, გამოიყენეს რა მსოფლიოში ყველაზე მოწინავე საბჭოთა მეცნიერების მიღწევები, წარმატებით გადაწყვიტეს ჩვენს ქვეყანაში მაიმუნთა აკლიმატიზაციის ძნელი საკითხი. ამჟამად სუხუმის საშენში მაიმუნები ნორმალურად მრავლდებიან და იზრდებიან, მათ ყინვიანი ზამთარიც კი კარგად გადააქვთ.

**1949-50** წლების სუსხიან ზამთარში, როდესაც ვოლიერებში თოვლის სიმაღლე თითქმის ნახევარ მეტრს აღწევდა, მაიმუნები მთელი დღის განმავლობაში თოვლში დასეირნობდნენ და მხოლოდ ღამით შედიოდნენ თავიანთ ბინებში. ეს მართლაც იშვიათი მოვლენა იყო. გასაგებია თუ რა დაუღალავი მეცნიერული მუშაობით იქნა მიღწეული ასეთი შედეგები. სადგურის კოლექტივმა და საბჭოთა კავშირის მრავალ სამეცნიერო ცენტრიდან ჩამოსულმა მუშაკებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს მაიმუნთა ბიოლოგიის შესასწავლად, საბჭოთა სუბტროპიკების პირობებში მათი გამრავლებისათვის საუკეთესო პირობების გამოსავლინებლად.

მაიმუნების მომრავლება სუხუმის საშენში საბჭოთა მეცნიერებს სჭირდებათ დიდი კვლევითი ექსპერიმენტული მუშაობისათვის. მარტო გასული წლის განმავლობაში კლინიკური გამოკვლევისა და სამეცნიერო ცდებისათვის მაიმუნები გამოყენებულ იქნენ 14 ათასჯერ. მრავალი წლების მანძილზე ჩატარებული ცდების შედეგებმა გაამდიდრეს მეცნიერება უძვირფასესი მონაცემებით, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. პროფ. ვიშნევსკიმ მაიმუნები გამოიყენა დაზიანებული ფილტვების მთლიანად ან ნაწილის ამოკვეთის რთული ოპერაციის დამუშავებაში. ამ ოპერაციამ, რომელიც შევიდა ქირურგიულ პრაქტიკაში, ბევრ ადამიანს შეუნარჩუნა სიცოცხლე. აკადემიკოს ე. პავლოვსკის, პროფესორების ა. შუბლაძის, პ. ზდროდოვსკის, პ. ხმოროდინცევის და სხვ. შრომებმა, რომელთათვისაც გამოყენებულ იქნა მაიმუნებზე ჩატარებული ცდები, გაამდიდრეს მეცნიერება და საბჭოთა ჯანდაცვა მრავალი ძვირფასი აღმოჩენით.

გაშეშებისა და დიზენტერიის წინააღმდეგ ამჟამად საყოველთაოდ შემოღებულ აცრის საშუალებანი შემუშავებულ იქნა სუხუმის სამედიცინო-ბიოლოგიურ სადგურში. ძნელია ყველა იმ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული მუშაობის ჩამოთვლა, რომელიც აქ განუწყვეტლივ მიმდინარეობს.

ტრაპეციის მთაზე, სუხუმში, ისევე, როგორც ჩვენი დიადი საბჭოთა სამშობლოს ყველა კუთხეში, საბჭოთა მეცნიერები თავდადებულად მუშაობენ იმისათვის, რომ გამონახონ ყველა საჭირო შესაძლებლობა ადამიანთა დასაცავად სხვადასხვა დაავადებისაგან. ძალაუნებურად გვაგონდება კემპ-დეტრიკი, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც აგრეთვე შექმნილია „სამეცნიერო ცენტრი", რომელშიაც კაპიტალის მიერ დაქირავებული „მეცნიერები" გამალებით მუშაობენ, რათა გამონახონ საშუალებები... ადამიანთა მასობრივად განადგურებისათვის სხვადასხვა დაავადების მეშვეობით, ეძებენ ახალ საშუალებებს ბაქტერიოლოგიური ომისათვის.

**ვ. ვარდიანი**

გარეკანის I გვ.: პურის მოსავლის აღება — ფოტო ვლ. გინზბურგისა; IV გვ.: ტურისტები ლაშქრობაზე — ფოტო ბ. ჯერანოვისა.

რედაქტორის მაგიერ — ვ. ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გიგინეიშვილი, დ. დოლიძე, მ. საკაშვილი, ი. ციციშვილი, უ. ჯაფარიძე.

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. № 91. ტელ. № 3-95-38 || ეს ნომერი მთლიანად დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/VII-52 წ. გამომც. № 119 ნაბეჭდი ფურც. 3½, ტირაჟი — 15.000 შეკვ. № 397 უე 02489

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке)

ხელოვნების სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.





ეროვნული
ბიბლიოთეკა


ფასი 3 მან.

10/113
ეროვნული ბიბლიოთეკა